ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 19 მარტი, 2019 №65 (8019) ფასი: 60 თეთრი

რატომ ამბობს უარს საპატიმრო პარტიის თავმჯდომარეობაზე

გვ.5

სოსო ცინცაძე: „ეს არის ყველაზე სწორი და დროული გადაწყვეტილება“

15 მარტიდან
მსოფლიო ლიტერატურის
კლასიკოსები
ანდრე ჟიდი
ოქროს სკოლა
ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

ვანო ზარდიაშვილი ეკა ბესელიას: „შენს ხელებს ფულის სუნი ასდის“

გვ.3

ჩხუბი პარლამენტში

გვ.2

ოთარ კახიძემ და ირაკლი ბერაიამ ერთმანეთზე გაიწიეს

გვ.2

მამუკა გამყრელიძე: „ოქტომბერში ვადამდელი არჩევნები ჩატარდება“

გიორგი ბარამიძე: „სააკაშვილის და ბურჯანაძის გარიგება სრული აბსურდია“

გვ.4

„ოცნება“ კობახიძის მომზადებულ კანონს მხარდაჭერას უცხადებს

არჩილ თალაკვაძე: „კანონპროექტს აუცილებლად მივიღებთ მაღალი მხარდაჭერით“

გვ.3

გვ.5

ვახტანგ მაისაია: „რუსეთის გააქტიურება საქართველოში ნატოს წვრთნებს უკავშირდება“

სამართალი გვ.7



გურჯაანში ექიმმა ნუკრი ბაღაშვილმა პაციენტ ხვიჩა სამადაშვილს სცემა

გურიაში სამმა არასრულწლოვანმა სკოლა გაქურდა

ტრაგედია კახეთში: ავარიისას დაშავებული 2 პირი ისევ ავარიაში მოყვა. ორივე დაიღუპა

ეკონომიკა გვ.6

ქვეყნები, სადაც საქართველოდან ყველაზე მეტი ფული გადაირიცხა

ფილარმონიის გაქირავების ფასი შესაძლოა 17.000 ლარამდე გაიზარდოს

ერთ წელიწადში 11 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გაუქმდა

ISSN 1987-9385

4 გია აბაშიძე: „ნებისმიერი რეგულაცია უკანონო შავ ხვრელებს წარმოშობს“

7 სასამართლომ სამხედრო პოლიციის თანამშრომელი დამნაშავედ ცნო

6 რას გულისხმობს საქორწინო კონტრაქტი და რა უპირატესობები აქვს მას?

7 პროკურორი: „იაგო ნებიერიძე პროცესზე გამოცხადდა“

ჩხუბი პარლამენტში

ოთარ კახიძემ და ირაკლი ბერაიამ ერთმანეთზე გაიწიეს

შორენა მარსაგიშვილი

საკანონმდებლო ორგანომ სამუშაო კვირა აქტიურად დაიწყო – იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე კანონმდებლებმა ერთმანეთზე გაიწიეს. „ოცნების“ დეპუტატი ფიზიკურად ცოტა უკეთ რომ ყოფილიყო მომზადებული და მაგიდაზე ახტომა მოეხერხებინა, მანდატურებს სიტუაციის განმუხტვა ნამდვილად გაუჭირდებოდათ.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტზე ირაკლი კობახიძის და მისი თანამეინახეების მიერ მომზადებული კანონპროექტი განიხილებოდა.

დეპუტატების გარდა, კომიტეტის სხდომას არასამთავრობოები და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მათ შორის იყო „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა.

სწორედ მის ნათქვამს მოჰყვა აურზაური და კანონმდებლებმა კინაღამ ერთმანეთი დათეთქვეს. მან ერთ-ერთ მოსამართლესთან დაკავშირებით დასვა კითხვა.

– წინა ხელისუფლების დროს დაკავებული, „ქართული ოცნების“ მიერ პოლიტიკურ პატიმრად მიჩნეული ლევან გოგიჩაიშვილის მიერ წარმოდგენილი კანდიდატი რამდენად უპასუხებს მოსამართლეობის კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს? – მშვიდი და უცოდველი სახით იკითხა კახა კუკავამ.

ამან რატომღაც გააღიზიანა ირაკლი ბერაია და გადაწყვიტა, ქუჩიდან შემოსული ოპოზიციონერისთვის პასუხი გაეცა.

„ოცნების“ დეპუტატს მუზა „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ოთარ კახიძემ დაუფრთხო.

– ბერაიას კუკავასთვის პასუხის გაცემა სურს, თუმცა, რელევანტური პროცედურულ საკითხზე გადასვლა იქნება, – განაცხადა ოთარ კახიძემ.

მის შენიშვნაზე ბერაიამ, რომელიც კახიძის ზედა იარუსზე იჯდა, რაღაც ჩაიბუტბუტა. ეს ეტყობა „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გინებად მიიჩნია და ბერაიას ქაღალდები ესროლა.

მართალია ნასროლი ქაღალდების კონა სამიზნეს ვერ მოხვდა, მაგრამ ამ ფაქტმა ბერაია გააცეცხლა, თან ისე გააცეცხლა რომ მაგიდაზე შეხტომა გადაწყვიტა. ეტყობა, უნდოდა ისე დაჰფრენოდა თავზე კახიძეს, როგორც წინა მოწვევის პარლამენტში დააფრინდა თავზე ზურა ზვიადაური კაკო ბობოხიძეს.

პირველ ცდაზე მაგიდაზე ახტომა და, შესაბამისად, კახიძის თავზე დახტომა არ გამოუვიდა. მეორე შანსი კი აღარ მიეცა – მანდატურებმა და კოლეგებმა გააკავეს. მანდატურებმა გააკავეს ოპოზიციონერი დეპუტატიც.

ჩხუბის ჩაშლის შემდეგ ორივე დეპუტატმა დატოვა კომიტეტის სხდომა. მოგვიანებით მათ მედიისთვის გააკეთეს განმარტებები.

ჟურნალისტებთან საუბარში ირაკლი ბერაიამ განაცხადა, რომ ის აქტიურად ებრძოდა ნაციონალების რეჟიმს, მაგრამ ოთარ კახიძის მსგავსად, ანგაჟირებული არასდროს ყოფილა.

მან მედიას ისიც გაუმხილა, თუ სად იყო 2012 წლამდე. ბოლო დროს ეს კითხვა ძალიან აქტუალურია.

– მესმის კითხვები და საუბრები ჩემი კოლეგების მხრიდან, სად ვიყავი მე მანამდე, მე ვიყავი იქ, სადაც ვიყავი 2011 წლიდან. მე ვარ „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი. ვიყავი დაჯარიმებული ნათია მოგელაძის მიერ. მეტსაც გეტყვით, „ქართუ ბანკის“ რამდენიმე თანამშრომელი დაგვაჯარიმეს და ჩემი ჯარიმა იყო ყველაზე სოლიდური. აქტიურად ვიბრძოდი „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ, თუმცა პოლიტიკურად ანგაჟირებული არ ვყოფილვარ და პოლიტიკური მომავლისკენ ნაბიჯების გადამდგმელი პიროვნება არ ვიყავი, თუმცა ვიბრძოდი ჩემი ქვეყნის და შვილების უკეთესი მომავლისთვის. მე არ ვთვლი, რომ ახალი სახე ვარ „ქართული ოცნებისთვის“.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ და ამ კანონპროექტის მხარდამჭერი. რაც შეეხება ავტორობას, არ ვარ ავტორი, რადგან არ მაქვს იურიდიული განათლება. თავს უფლება არ მივეცი ჩემი კომპეტენციიდან გამომდინარე, ერთ-ერთი ავტორი ვყოფილიყავი, თუმცა მხარს ვუჭერ, – აღნიშნა დეპუტატმა.

პარლამენტში მოწყობილი ორომტრიალისთვის ერს ბოდიში მოუხადა ოთარ კახიძემ.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის თქმით, ის, რაც კომიტეტის სხდომაზე მოხდა, მისი მხრიდან არ შეესაბამებოდა პარლამენტის წევრის ეთიკას.

– შენიშვნა გამოვთქვი რეგლამენტის პროცედურის დარღვევაზე, რის შემდეგაც ჩემმა კოლეგამ ირაკლი ბერაიამ თავს უფლება მისცა და არაკორექტულად მომმართა, რასაც გავეცი პასუხი. ჩემი ქმედება არ შეესაბამებოდა პარლამენტის ეთიკას და საზოგადოებას ბოდიშს ვუხდი, უბრალოდ, ზოგჯერ თავის შეკავება არც ისე ადვილია, თუმცა, ჩემს ქმედებას ეს მაინც არ ამართლებს. ინციდენტი მე არ წამომიწყია, მე მხოლოდ პასუხი გავეცი მის არაკორექტულ შეფასებას, – თქვა ოთარ კახიძემ.

მამუკა გამყრელიძე: „ოქტომბერში ვადამდელი არჩევნები ჩატარდება“

ნონა ცაბაძე

ოპოზიციაში სიახლეებია, ნაციონალური მოძრაობა ყრილობისთვის და ახალი თავმჯდომარის ასარჩევად ემზადება. რატომ გადაწყვიტა სააკაშვილმა განზე გადგომა, რას გეგმავს ოპოზიცია, გაერთიანდებიან თუ არა ნაცმოძრაობა და ევროპული საქართველო? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს „ძალა ერთობაშიას“ ერთ-ერთი ლიდერი **მამუკა გამყრელიძე** პასუხობს.

– ბატონო მამუკა, ნაცმოძრაობას ახალი თავმჯდომარე ეყოლება და სააკაშვილმა თავად წამოაყენა ვაშაძის კანდიდატურა. რას იტყვით, რა პროცესები იწყება?

– რაც ახლა გაახმოვანა სააკაშვილმა, დიდი ხანია, ამაზე საუბარი მიდის. პრინციპში, ყველა თანხმდება იმაზე და რეალურად ასეც არის, რომ ფაქტობრივი ლიდერი ნაციონალური მოძრაობის სწორედ გრიგოლ ვაშაძეა სხვადასხვა მიზეზების გამო.

– კერძოდ რა მიზეზების?

– უპირველესად იმ მიზეზის გამო, რომ მისი საპრეზიდენტო კანდიდატურა ძალიან წარმატებული კამპანიით აღინიშნა და მოგეხსენებათ, როგორი შედეგიც იყო. რომ არა ხელისუფლების უსაზიზღრესი ზეწოლა, ალბათ ვიხილავდით მას პრეზიდენტის პოსტზე. ამიტომ, რეალურად ის არის ნაციონალური მოძრაობის გამოკვეთილი ლიდერი.

– სააკაშვილი უფუნქციოდ რჩება?

– სააკაშვილის როლი გამომდინარეობს იმ მდგომარეობიდან, რაც არის. ის გასულია ქვეყნის გარეთ, ვერ ახერხებს შემოსვლას სხვადასხვა მიზეზების გამო. შესაბამისად, მას არ აქვს საშუალება, ყოველდღიურ ცხოვრებაში მიიღოს მონაწილეობა. ამიტომ ეს აბსოლუტურად ნორმალური გადაწყვეტილებაა და ყველაზე პრაგმატული იმ არჩევნების წინ, რომელიც ჩვენ გველის და დიდი ალბათობით ეს იქნება ვადამდელი არჩევნები, რომელსაც ოქტომბერში დანიშნავენ. დღეს ყველაფერი აქეთკენ მიდის.

– ოპოზიციამაც ამისთვის დაიწყო ასე აქტიური სამზადისი? საუბარია, რომ ნაციონალებიც და ევროპელებიც ერთიანდებიან, რომ მათ შუალედურ არჩევნებში ერთიანი კანდიდატი ეყოლებათ. ამაზე რას იტყვით?

– მე ვერც დაგიდასტურებთ და ვერც უარვყოფ იმ ინფორმაციას, რომ ნაცმოძრაობა და ევროპული საქართველო გაერთიანდებიან. ეს მათი პირადი საქმეა, თუმცა, არა მგონია. გაერთიანებულ ოპოზიციასთან ჯერ ეს საკითხი შეთანხმებული არ არის.

– ამ ორი პარტიის შესაძლო გაერთიანებაზე რას იტყვით?

– მე ამას ვუშვებ 0,01%-ით. თუ ევროპელები შემოუერთდებიან გაერთიანებულ ოპოზიციას, ესეც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ არის, იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით ამ პარტიის ლიდერის, ბოკერიას დამოკიდებულება, რომ ის ყოველთვის მომხრეა, ცალკე მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. მე იმაშიც ეჭვი მეპარება, რომ საბოლოოდ ერთიან კანდიდატურაზე შეთანხმდნენ.

გაერთიანებულ ოპოზიციაში კი შემიძლია დავიფიცო, რომ საუბარი მათი შემოერთების შესახებ არ ყოფილა. ნაცმოძრაობაც ამ გაერთიანებული ოპოზიციის წევრია, ამიტომ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი შიგნით თანხმდება.

– გაერთიანებული ოპოზიცია ძალიან გააქტიურდა, „ახალი საქართველოს“ ლიდერ გიორგი ვაშაძეს ჰქონდა პარტიის ყრილობა. რა სიახლეები გაქვთ?

– გაერთიანებულ ოპოზიციას კიდევ ერთი პარტია შემოუერთდება და 12-ნი გავხდებით. ყრილობაზე ძალიან ბევრი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები იყვნენ. მიდის საუბარი, რომ გაერთიანებული ოპოზიცია რიცხობრივად გაიზრდება.

– ვადამდელი არჩევნები ახსენეთ, ოქტომბერში ჩატარდებაო და რა ინფორმაციებს ფლობთ? კულისებში დაიწყო უკვე ამაზე საუბარი?

– ჯერ ღიად არ საუბრობენ, მაგრამ უკვე გამოდის ხმები სახელისუფლო წრეებიდან, მათი გუნდიდან, რომ ერთ-ერთ ვარიანტად აქტიურად განიხილება ვადამდელი არჩევნები. ამის თაობაზე უფრო და უფრო დადასტურებული ხმები მოდის ჩვენამდე.

– ამ ყველაფერს საეჭვოდ დაემთხვა ოპოზიციის გააქტიურებაც. ნაციონალური მოძრაობა ფიქრობს, რომ ვაშაძის თავმჯდომარეობა მეტ წარმატებას მოუტანს არჩევნებზე?

– გააქტიურება ისედაც ამ დროისთვის იგეგმებოდა. ჩვენ ზამთარში ავიღეთ ტაიმ-აუტი. გვეგონა, ვიგებდით, დარწმუნებული ვიყავით, რომ შევძლებდით ამას, მაგრამ ხელისუფლებამ ისეთი საზიზღრობები გააკეთა, რომ დავმარცხდით. ამიტომ გვჭირდებოდა ტაიმ-აუტი აზრზე მოსასვლელად. ყველაზე კარგი ვარიანტი იყო, რომ გაზაფხულს დავლოდებოდით.

– რატომ გაზაფხულს?

– ყოველთვის კარგი პერიოდია ცვლილებებისთვის. თანაც ტარდება რამდენიმე ყრილობა. ნაციონალების ყრილობაც დაგეგმილია 24-ში. გიორგი ვაშაძის – „ახალი საქართველოს“ ყრილობაც ძალიან წარმატებული იყო. ეს პარტია თავისი ფორმით დასავლური ტიპის პარტიაა. ძალიან კარგი ყრილობა ჩატარდა, შინაარსითაც შესანიშნავი იყო.

ველოდებით ნაციონალური მოძრაობის ყრილობასაც და შეიქმნება სტრუქტურა გაერთიანებულ ოპოზიციაში, რასაც აუცილებლად მოგახსენებთ. თვის ბოლომდე გვინდა ამ ყველაფრის ჩამოყალიბება. ჩვენ გვინდა, რომ სიმძიმის ცენტრი პარტიებიდან გადმოვიდეს სწორედ გაერთიანებულ ოპოზიციაში.

– გაჩნდა ვერსია, რომ ნაცმოძრაობას გამიჯვნა უნდა წინასაარჩევნოდ სააკაშვილის სახელისგან. მიშა მოდის – ეს თემა კვლავ აქტიურად მუშაობს და ამისგან თავის არიდება უნდათ?

– როგორ უნდა გაემიჯნონ? ფარდას ხომ არ ჩამოაფარებენ ამ ადამიანს. ის ძალიან მძიმე წონის პოლიტიკოსია. მართალია, ის არ არის ამ ქვეყანაში, მაგრამ მის არსებობას ხომ ვერ გაექცევიან, მით უმეტეს, ტელევიზიებისთვის ძალიან სასურველი რესპონდენტია. ის არსებობს და როგორ უნდა გაემიჯნონ?!

ეს იგივეა, რომ „ოცნება“ გაემიჯნოს ბიძინა ივანიშვილს. როგორ გაემიჯნება? ჩვენ მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ეს ასეა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ვანო ზარდიაშვილი ეკა ბესელიას: „შენს ხელებს ფულის სუნი ასდის“

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ, 18 მარტს, დიდი დღე იყო – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში არნახული ამბები დატრიალდა. ამავე კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ და მისმა ყოფილმა მოადგილემ ერს პოლიტიკური დაპირისპირების კლასიკა აჩვენეს.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ყოფილმა მოადგილემ, ვანო ზარდიაშვილმა ნამდვილი ქარიშხალი დაატრიალა. ის ერთდროულად იგერიებდა და პასუხობდა არასამთავრობოების, ოპოზიციის და ყოფილი თანაპარტიელების – ეკა ბესელიას და გედევან ფოფხაძის შემოტევებს. ეულ ვანოს მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში მამუკა მდინარაძეც ეხმარებოდა. თუმცა ზარდიაშვილი ისეთ ფორმაში იყო, მარტოც გაუმკლავდებოდა მოწინააღმდეგეებს.

ივანე მრისხანედ ქცეულ ზარდიაშვილს საკადრის პასუხებს უბრუნებდა ეკა ბესელიაც. ისიც აშკარად კარგ საბრძოლო ფორმაში იყო. მოწინააღმდეგის აწიოკებაში მას გედევან ფოფხაძე ეხმარებოდა.

მან იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ყოფილ მოადგილეს სულ საბოტაჟნიკი ეძახა და დებატებშიც გამოიწვია.

– იცი, რას გეტყვი, მართლა? დავსხდეთ დებატებზე და ყველაფერს გეტყვი პირში. შენი ჭკუის სასწავლებელი არაფერი არ მჭირს ვანო, რა. მე რა უნდა გამეკეთებინა, რაც მივქარე და არ

გავაკეთე, იმას გავაკეთებ, გპირდები. შენ პირადად რაც გაქვს გაკეთებული, ყველაფერს წარმოვადგენ. საბოტაჟის მეტს არაფერს აკეთებდი იმ იურიდიულ კომიტეტში, – განაცხადა გედევან ფოფხაძემ.

მისმა თანამებრძოლმა ეკა ბესელიამ ყოფილ მოადგილეს კორუფციაში ჩაფლული უწოდა. ისე საინტერესოა, კორუფციანაზიარებმა ზარდიაშვილმა ბესელიას მაშინ რატომ არ შეუქმნა დისკომფორტი, როცა კომიტეტში თავმჯდომარის და მისი მოადგილის პოსტებს იკავებდნენ.

ბესელია ამტკიცებს, რომ ზარდიაშვილმა პარლამენტში შესვლის შემდეგ საკანონმდებლო ორგანოდან მოითხოვა ე.წ. ბუღალტერიის გახსნა, რომ აღერიცხა, ვის რას გაუკეთებდა.

– რას ჰქვია, კორუფციაში მადანაშაულებს, ვერ ჩაეკითხეთ, რას გულისხმობდა, ამ ბოდვაზე მე გიპასუხოთ? ძალიან მარტივ რამეს უყურებთ. ზარდიაშვილი სასამართლოში ერთ-ერთი ზონდერი იყო, მისი მეგობრები და ძმაბიჭები ყველანი იქ იყვნენ. კორუფციაში მაშინაც ჰქონდა ხელი ჩაყოფილი და ჩაფლული იყო. დღეს უკვე პარლამენტში რომ შემოვიდა, პარლამენტიდან ე.წ. ბუღალტერიის გახსნა მოითხოვა, რომ ეწარმოებინა ბუღალტერია, ანუ აღერიცხა, ვის რას გაუკეთებდა. ეს გეგმები ჩავუშალე საბრალოს, გადაყვა ამ ამბავს, – მიმართა ეკა ბესელიამ ჟურნალისტებს.

მან ყოფილ მოადგილეს ურჩია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილი მოსამართლეთა უკან დაბრუნებული სია თავქვეშ დაიდოს.

– უკან დაბრუნებული სია თავქვეშ ამოიდოს. ღამე სიზმრებს რომ ნახავს, მეგობრებთან ერთად როგორ აწყობს სასამართლოში საქმეებს, გამოიღვიძებს და სხვა რეალობა დახვდება, – აღნიშნა დამოუკიდებელმა დეპუტატმა.

მისი ბრალდებები უპასუხოდ არ დაუტოვებია ვანო ზარდიაშვილს. მისი თქმით, ის პატიოსანი ადამიანია, ხოლო ბესელიას ხელებს ფული სუნი ასდის.

– მე პატიოსნებაზე როგორ უნდა მელაპარაკოს ვინმემ? სრულიად საქართველომ იცის ამ დარბაზში მსხდომი ყველა ადამიანის როგორც პატიოსნება, ასევე ღირსება და პროფესიონალიზმი. შესაბამისად, ყველამ თავის პატიოსნებას მიხედოს. სასამართლოს ეფარება კორუფციის რისკის მქონე ადამიანები. შენს ხელებს ასდის ფულის სუნი და ეგ იცის სრულიად საქართველომ, – მიმართა ვანო ზარდიაშვილმა ბესელიას.

ამ უკანასკნელმა გუშინ, 18 მარტს, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მოქმედ თავმჯდომარეს და მის მოადგილესთანაც იკამათა. ანრი ოხანაშვილმა და დავით მათიკაშვილმა ის არაკორექტულობაში დაადანაშაულეს და ამის გამო დაგმეს კიდევაც.

მათი თქმით, ბესელია თავად იყო კომიტეტის თავმჯდომარე და ვალდებულია, კორექტულობა გამოიჩინოს.

ეს რჩევა დიდად არ მოეწონა დამოუკიდებელ დეპუტატს. მან ანრი ოხანაშვილს და დავით მათიკაშვილს შეახსენა, რომ ისინი პარლამენტში არიან და ურჩია, რომ ნერვები დაეოკებინათ.

– ბიჭებო, დამშვიდდით, ასე ნუ დაპატარავდებით, იმ დონეზე თუ დახვალთ, იქამდე ვერ ჩამოგყვებით, მაგრამ რაღაც დონიდან მომიწევს პასუხების გაცემა. ანრი, ცოტა გაიაზრე სად ხარ, სად ლაპარაკობ, რაღაცა სინდისისმაგვარი რომ შემოგეპარება, მაშინ გახდება ნორმალური ეს დიალოგი, – მიმართა მან ოხანაშვილსა და მათიკაშვილს.

მათიკაშვილმა მისი რჩევა უპასუხოდ არ დატოვა და უთხრა, რომ რაკი შეურაცხყოფაზე გადადის, ე.ი. არგუმენტები არ გააჩნია.

ამაზე ბესელიამ მას და ოხანაშვილს ისევ დაწყნარება ურჩია. ამასთან კომიტეტის თავმჯდომარეს შესთავაზა, თუ გინდა სხდომის წაყვანაში გამეცადინებო.

– დაიმშვიდეთ ნერვები ორივემ. ბიჭებო, გაჩერდით ცოტა ხანს, დაწყნარდით. დაასრულე დათო? – ტყუილად გამეცადინებდი მაგ სხდომის წაყვანაში? ასე უნდა მოიქცე? – მიმართა კოლეგებს გაგულისებულმა ქალმა, რომელსაც კოლეგებმა პარლამენტის დატოვებისკენაც მოუწოდეს. ეს იდეა მას ვანო ზარდიაშვილმა შესთავაზა.

ამ უკანასკნელმა გაიხსენა თუ რატომ და როგორ დატოვა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი. ამბობს, ეს მხოლოდ იმიტომ გააკეთა, რომ ბესელიას დაეტოვებინა კომიტეტის თავმჯდომარის სავარძელი.

– 15 წელია საჯარო მოხელე ვარ და ჩემი ქვეყნისთვის პატიოსნად ვშრომობ, იმხელა სიკეთე ჩემი სამშობლოსთვის არ გამიკეთებია, როგორც ეკა ბესელიას გადადგომას შევუწყვე ხელი. არამც თუ პირველი მოადგილეობიდან გადადგომა, არამედ დღესვე მზად ვარ, პარლამენტის მანდატზე ვთქვა უარი, თუ ეკა ბესელია პარლამენტიდან გავა. სასამართლოს მოვაშორებთ ადამიანს, რომელსაც სუბიექტური ინტერესები აქვს სასამართლოში, – განაცხადა ზარდიაშვილმა კომიტეტის ხმაურიან სხდომაზე.

იმის მაგივრად, რომ გამოწვევა მიეღო და ეთქვა, დატოვე მანდატი და მეც დავტოვებო, ბესელიამ ზარდიაშვილს სულ ზონდერი უწოდა.

დამოუკიდებელი დეპუტატი ამბობს, რომ მისი ოპონენტი თავადაც მიჰყვა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილ მოსამართლეთა ათკაციან სიას, რის გამოც გაბრაზებულია.

– იქედან გაგაბუნძურე, საიდანაც დაგსვეს. ვინმემ შეამოწმოს, ზარდიაშვილი ზემოქმედების ქვეშ ხომ არ არის, იმდენად აჟიტირებულია. ვანო ზარდიაშვილს, ზონდერებს პარლამენტში რა უნდათ? მშვიდობაში „ქართულ ოცნებას“. ყველაფერი ნათელია. საწყალი ეს ბიჭი, რომელსაც გეგმა ჩავუგდეთ, ოჯახური ბიზნესი ჩავუშალეთ და ის ათკაციანი სია, რომელსაც ლობირებდა და ვერ გაიტანა, თვითონაც მიჰყვა ამ სიას. მესმის, გაბრაზებულია. ვერ მპატიობენ, რომ სია გავუჩერე, – მიმართა ბესელიამ ყოფილ მოადგილეს.

ამ უკანასკნელმა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის გუშინდელ, 18 მარტის სხდომას არაორდინარული უწოდა. მისი თქმით, სხდომაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებულ კანონპროექტზე არასამთავრობოების დამოკიდებულება გამოჩნდა. დასკვნით სიტყვაში მას არც ბესელია და ფოფხაძე დავიწყნა.

– 18 მარტს არაორდინარული ვითარება გვქონდა, ეკა ბესელია და გედევან ფოფხაძე ექვსი წელი ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელობაში იყვნენ და ბრალდებას უყენებენ კომიტეტის ხელმძღვანელის პოსტზე ორი კვირის წინ დანიშნულ ანრი ოხანაშვილს, რატომ არ შეასრულა ის ფუნქციები მანამდე, რაც ხელმძღვანელობას უნდა განეხორციელებინა.

პროცესის ნეგატიურ კონტექსტში გადატანა ვიხილეთ არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, რომლებიც პრეზიდენტ მარგველაშვილს ორი ხელით ესალმებოდნენ, როცა ის წარადგენდა იმ პროცედურებით, რითაც იმოქმედა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ. მხოლოდ ფუნქცია შეიცვალა, იუსტიციის საბჭო წარადგენს კანდიდატებს და ვნახეთ, არასამთავრობოების დამოკიდებულება. პროცესი არის პოლიტიკურ ჭრილში გადატანილი, – აღნიშნა დეპუტატმა.

ბესელია-ფოფხაძესთან ნაფრონტალმა ზარდიაშვილმა არასამთავრობოების რისხვაც დაიმსახურა. ეს მოსალოდნელიც იყო. დეპუტატი მათაც დაესხა თავს და სულ შავრაზმელები ეძახა.

ზარდიაშვილის განცხადებით, არასამთავრობოები მოსამართლეთა შერჩევის შესახებ მომზადებულ კანონპროექტს ანა ნაცვლიშვილის უზენაეს სასამართლოში გაყვანის გამო იწუნებენ. აღნიშნულ ბრალდებას თავად ანა ნაცვლიშვილმა უპასუხა:

– ამ სამსაათიანი ყველა ერთ ხმაში მოლაპარაკე ადამიანის დასაბუთებული კომენტარებისგან ზარდიაშვილმა მხოლოდ ამ დასკვნის გამოტანა შეძლო. ეს მეტყველებს მის ინტელექტუალურ შესაძლებლობაზე. მე ამაზე სერიოზულ კომენტარს ვერ გავაკეთებ. უბრალოდ არის ასეთი გამოთქმა, რომელიც მახსენდება ამ წუთში, რომ ყველა თავისი გარყვნილების ხარისხით ზომავს. და ზარდიაშვილი ყველაფერში საკუთარ გამორჩენას ეძებს და ამიტომ ჰგონია, რომ ყველა იმიტომ იბრძვის, იმიტომ დგას პოზიციებზე, რომ რაღაც გამორჩენა მიიღოს ამ პროცესისგან. ეს განცხადება ზარდიაშვილის დიაგნოზია, – აღნიშნა ნაცვლიშვილმა.

„ოცნება“ კობახიძის მომზადებულ კანონს მხარდაჭერას უცხადებს

არჩილ თალაკვაძე: „კანონპროექტს აუცილებლად მივიღებთ მაღალი მხარდაჭერით“

შორენა მარსაგიშვილი

მოსამართლეების გამო მმართველ პარტიაში კვლავ გაუგებრობაა. „ოცნებიდან“ წამოსული დეპუტატები ირწმუნებოდნენ, რომ მმართველ გუნდში მათ ბევრი მხარდამჭერი ჰყავთ და ისინი ირაკლი კობახიძის მომზადებულ კანონპროექტს ჩააგდებენ.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები კი საპირისპიროს ამტკიცებენ. კანონპროექტი, სავარაუდოდ, გავა. მეოცნებე კანონმდებლებს ამ თემაზე სასაუბროდ საპარლამენტო უმრავლესობის დახურულ სხდომაზე უხმეს, რომელსაც „ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილიც ესწრებოდა.

დახურული სხდომა რამდენიმე საათი გაგრძელდა. შეხვედრიდან გამოსულმა არჩილ თალაკვაძემ მედიას ამცნო, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებთან დაკავშირებით მათ მიერ ინიცირებულ კანონპროექტზე საბოლოო განხილვა შედგა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მტკიცებით ფორმაში ამბობს, რომ – კანონპროექტს სესიაზე უმრავლესობის მხარდაჭერა ექმნება.

– კანონპროექტს აუცილებლად მივიღებთ მაღალი მხარდაჭერით. მასში ყველა ის ძირითადი პრინციპია ასახული, რა მოთხოვნაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევასთან დაკავშირებით საზოგადოებას ჰქონდა, – აუწყა მედიას საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა.

არჩილ თალაკვაძეს თუ დავუჯერებთ, ივანიშვილის თამადობით გამართულ საპარლამენტო უმრავლესობის სხდომაზე მიმდინარე სასესიო კვირის დღის წესრიგზეც იმსჯელეს.

ამ სასესიო კვირაში საკანონმდებლო ორგანოში მთავრობის 3 წევრს ელოდებიან. დეპუტატების წინაშე მთავრობის მეთაური მამუკა ბახტაძეც უნდა წარდგეს.

არჩილ თალაკვაძემ ჟურნალისტებთან საუბარში პარტიაში მიმდინარე პროცესებზეც ისაუბრა.

მმართველი პარტიის ბოსებმა „ოცნების“ განახლება დააანონსეს და მიზნის მისაღწევად ირაკლი ღარიბაშვილიც დააბრუნეს.

არჩილ თალაკვაძე ამბობს, რომ მმართველ პარტიაში აქტიურად მიმდინარეობს განახლების პროცესი.

მან ჟურნალისტებს განუმარტა, რომ პარტიული განახლება სივების მიღებით არ მიმდინარეობს.

– დაწყებულია პროცესი, რაც გზას გაუხსნის პარტიაში, პარლამენტში ახალი, მომავლის ხედვის მქონე წარმატებულ ადამიანებს. ეს მხოლოდ ახალგაზრდებს არ ეხება, ეხება ყველა ასაკისა და გამოცდილების მქონე ადამიანს, ვისაც აქვს სათანადო მოტივაცია. რაც უფრო მოახლოვდება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, პროცესი მით უფრო გააქტიურდება, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა.

გიორგი ბარამიძე: „სააკაშვილის და ბურჯანაძის გარიგება სრული აბსურდია“

იაგო ნაცვლიშვილი

მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა შუალედურ არჩევნებზე ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“ შეთანხმდნენ და საერთო კანდიდატები დაასახელონ. დასახელდა კონკრეტული გვარებიც. მაგალითად, საუბარია იმაზე, რომ პარლამენტში მოსახვედრად მთაწმინდის ოლქში შალვა შავგულიძეს წარადგენენ, ხოლო ზუგდიდის მერობის კანდიდატად – ნიკა მელიას.

რამდენად რეალურია აღნიშნული ინფორმაცია, რა თემებზე საუბრობენ ოპოზიციური პარტიები რა პასუხი აქვს იმ ჭორზე, რომ სააკაშვილი და ბურჯანაძე გარიგდნენ? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი ბარამიძე** საუბრობს.

– მოახლოებულია შუალედური არჩევნები. ვრცელდება სხვადასხვაგვარი ინფორმაციები. მაგალითად, ზუგდიდის მერის კანდიდატად განიხილება ნიკა მელიას კანდიდატურა. გაეღერდა სანდრა რულოვსის კანდიდატურაც.

– სხვადასხვა ვარიანტები განიხილება, ჩვენი ტაქტიკიდან გამომდინარე. განიხილება ისიც, საერთოდ ღირს თუ არა მონაწილეობის მიღება იმ ვითარებაში, რაც დღეს ხდება ქვეყანაში. საარჩევნო გარემოს თვალსაზრისით რაც ივანიშვილმა გააკეთა, ყველამ დაინახა. არა მარტო ოპოზიციამ და ჩვენმა საზოგადოებამ, არამედ მსოფლიომ. როგორი გაყალბება, ძალადობა იყო.

– ანუ არჩევნების ბოიკოტსაც განიხილავთ?

– ბუნებრივია. ეს ხომ ლეგიტიმურია ამ ვითარებაში?! არის ასეთი მოსაზრებაც, რომ მიუხედავად ამ რეპრესიული სისტემისა, მაინც მივიღოთ მონაწილეობა არჩევნებში და გავმართოთ ბრძოლა. ორივე არგუმენტს აქვს მყარი პოზიცია. უნდა ვიმსჯელოთ ამ საკითხზე და საბოლოო გადაწყვეტილებას პოლიტსაბჭოსა და შემდეგი განხილვების დროს მივიღებთ.

– თუ მიიღებთ არჩევნებში მონაწილეობას, გაერთიანებული ოპოზიციის ფორმატში მიიღებთ თუ პარტიულ ფორმატში?

– თუ მივიღებთ, ალბათ გაერთიანებული ოპოზიციის ფორმატში მივიღებთ მონაწილეობას.

– ასეთი ინფორმაციაც გაავრცელა „პრაიმ ტაიმმა“, რომ „ევროპულ საქართველოსთან“ გაქვთ რაღაც შეთანხმება და შესაძლოა შეთანხმდეთ და ასე წარადგინოთ კანდიდატურები. არის თუ არა მსჯელობა ამ საკითხზე?

– ჯერ რაიმე გადაწყვეტილება მიღებული არ არის, თუმცა სხვადასხვა პარტიები გავდივართ კონსულტაციებს. იცით, რომ დაწყებული გვაქვს კამპანია მილიონი ხელმოწერის შეგროვების თაობაზე, რათა შეიცვალოს საარჩევნო კანონმდებლობა და უფრო სამართლიანი გახდეს. იმ თვალსაზრისით, რომ რამდენიც არის პარტიის მხარდაჭერა, პროპორციულად იმდენი მანდატი ჰქონდეს. ეს ახლა დარღვეულია. მაჟორიტარული სისტემა მსოფლიოში აპრობირებულია, მაგრამ საქართველოში ბოროტად იყენებს ხელისუფლება. საქართველოს დამოუკიდებლობიდან მოყოლებული, სამწუხაროდ, ეს სულ ასეა.

გამოჩნდა, რომ მცირე გამონაკლისების გარდა, მაჟორიტარები პატარ-პატარა ოლიგარქებს წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე ეს სისტემა მახინჯია. ბუნებრივია, პარტიები ფართო სპექტრის არის და არც მეგობარი პარტიები არიან და არც იდეოლოგიურად მსგავსი პარტიები. მაგრამ ეს პარტიები მსჯელობენ იმაზე, რომ თუ არ მოხდა საზოგადოების ამ მოწოდების გათვალისწინება, რა შეიძლება დავუპირისპიროთ ამას. სწორი არის ის, რომ პარტიებმა განურჩევლად მრწამსისა, მოახდინონ კოორდინაცია მაჟორიტარულ ოლქებში, კანდიდატების ურთიერთმხარდაჭერის თვალსაზრისით. ეს იმ შემთხვევაში, თუ ეს სისტემა შენარჩუნდება.

– ანუ ამაზე მსჯელობთ არა მხოლოდ შუალედური არჩევნებისთვის, არამედ 2020 წლის არჩევნებისთვისაც?

– ეს არის ზოგადი მოსაზრება. დიდი მნიშვნელობა აქვს ტერმინებს. ჟურნალისტი ხართ და ჩემზე კარგად იცით. ამიტომ არ გაიგოთ ისე, რომ სერიოზული კონსულტაციებია დაწყებული. ასეთი რამე არ ხდება, მაგრამ, ბუნებრივია, ოპოზიციური პარტიები ვფიქრობთ, როგორ გამოვიყენოთ ოპოზიციის უპირატესობა.

საუკეთესო შემთხვევაში ხელისუფლებამ შემდეგ არჩევნებზე შეიძლება აიღოს 35%, ყველაზე ცუდ შემთხვევაში 40%. 60-65% ოპოზიციის მხარეს რჩება. მაჟორიტარული სისტემა თუ შენარჩუნდა, ხელისუფლებას მანიპულაციის მეტი საშუალება იქნება. თუ ოპოზიციას ეყოლება საერთო კანდიდატები და ყველა ერთის წინააღმდეგ ფორმულა იმუშავებს, მაშინ ოპოზიცია გამარჯვებული გამოვა.

ვიმეორებ, აქ არ არის საუბარი იდეოლოგიურ თანხვედრაზე, ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ივანიშვილი არის ამ ქვეყნისთვის ბოროტება, რომელიც ერთად უნდა მოვიცილოთ.

– ანუ ამ თემაზე საუბრობთ ყველა ის პარტია, რომლებიც თანამშრომლობთ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით და ვინც მილიონ ხელმოწერას აგროვებთ?

– ამ თემაზე იყო მოსაზრებები გამოთქმული.

– შუალედურ არჩევნებში „ევროპულ საქართველოსთან“ შეთანხმება უკვე მიღწეულია, რომ ერთიან კანდიდატებს დაასახელებთ?

– მაგას მოგახსენებთ. ზუსტად ამ შეკითხვაზე გპასუხობთ. ამ კონტექსტში სწორია, რომ თუ სადმე დადგებიან ოპოზიციური კანდიდატები, იქ მოხდეს ერთმანეთთან კოორდინირება. ბუნებრივია, აქ არც ნაცმოძრაობაა“ გამონაკლისი და ალბათ არც „ევროპული საქართველო“ გამოაკლდება.

ივანიშვილის რეჟიმის წარმომადგენლების დასამარცხებლად ალბათ თანამშრომლობა გვექნება. ეს ყველა ოპოზიციური პარტიის ინტერესებში შედის. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, მაგრამ ამ მიმართულებით საუბრები ლოგიკურიც არის და მისასალმებელიც. იმედი მაქვს, რომ რაღაც საკითხებზე შეთანხმებები მოხდება.

– შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით გავრცელდა, რომ შესაძლოა შალვა შავგულიძე დაასახელოთ მთაწმინდის ოლქში მაჟორიტარად. ყოფილა ამ საკითხზე მსჯელობა?

– მე რომ გითხრათ, ყოფილა, დაწერთ, რომ... სხვადასხვა კანდიდატურებზე იყო მსჯელობა, ასეთი ზოგადი პასუხით შემოვიფარგლები.

– როგორც მივხვდი, მათ შორის, შავგულიძეზეც.

– ყველა ადამიანი შეიძლება იყოს დასახელებული. შეიძლება თქვენც იყოთ დასახელებული. თეორიულად ესეც შეიძლება.

– კულისებში ვრცელდება ინფორმაცია იმაზეც, რომ შესაძლოა მომავალ საპარლამენტო არჩევნებისთვის გაერთიანებულ ოპოზიციას „ევროპული საქართველოც“ შემოუერთდეს. ყოფილა ამაზე რაიმე სახის მსჯელობა? დაგვიდასტურებთ?

– არა. მე არ მომისმენია ამგვარი მსჯელობა და არა მგონია რეალისტური იყოს. მე როცა ვამბობ, რომ თანამშრომლობის სულისკვეთება არის სხვადასხვა პარტიებში, იმ პარტიებში, რომლებიც მილიონ ხელმოწერას აგროვებს, ეს არ ნიშნავს, რომ გაერთიანებასა და ბლოკზე ვსაუბრობთ. ჩვენ ვსაუბრობთ საერთო ინტერესებსა და საერთო თამაშის წესებზე. ეს ყველა პარტიის ინტერესშია, რაც უნდა განსხვავებულები იყვნენ ეს პარტიები ემოციურად თუ პლატფორმის თვალსაზრისით.

ხალხის ნაწილი ფიქრობს ხოლმე, ერთიანდებიან, ერთი პარტია იქმნება, ბლოკს ქმნიან და ა. შ. ეს ასე ნამდვილად არ არის. თანამშრომლობა შესაძლებელია ცალკეულ საკითხებზე. ივანიშვილის რეჟიმის დასამარცხებლად საჭიროა ყველა ერთის წინააღმდეგ პრინციპის ამოქმედება. ამაში იგულისხმება ყველა ცივილიზებული პარტია. რა თქმა უნდა, ამაში პრორუსული პარტიები არ იგულისხმება, რომლებიც ივანიშვილის ჯგუფის განაყოფია.

– პატრიოტთა ალიანსს გულისხმობთ?

– რა თქმა უნდა.

– ბურჯანაძე?

– იცით, რომ ამ შემთხვევაში ბურჯანაძის პარტია მონაწილეობას იღებს მილიონი ხელმოწერის შეგროვებაში.

– სხვათა შორის, ასეთი ჭორიც გავრცელდა, რომ სააკაშვილი და ბურჯანაძე გარიგდნენ. ეს გამოიწვია გუბაზ სანიკიძის განცხადებებმა, რომელმაც სააკაშვილზე თქვა, რომ პოლიტიკურად იზრდება, სწორ გზავნილებს აყენერებს და ა. შ. ამაზე რა პასუხი გაქვთ?

– ეს არის სრული აბსურდი და ბოდვა. რაში შეიძლება სააკაშვილი და ბურჯანაძე გარიგდნენ?! რა შეიძლება იყოს საერთო შეხების წერტილი, გარდა იმ შემთხვევისა, რაც გითხარით, რომ ყველას ინტერესია, მოვიცილოთ ივანიშვილი.

– პერსონალურად გუბაზ სანიკიძესთანაც არ განიხილავთ საერთო ინტერესებს?

– გუბაზ სანიკიძე, გიორგი ბარამიძე თუ ცალკეული სხვა ადამიანები არ წყვეტენ გლობალური პოლიტიკის საკითხებს.

– ანუ ხომ არ უნდა ველოდოთ, რომ სანიკიძე შემოუერთდეს, ვთქვათ, ნაციონალურ მოძრაობას?

– არაფერი მიმანიშნებელი არ არის ამის. სანიკიძე ბურჯანაძის პარტიის ერთ-ერთი ლიდერია. მე არ შემინიშნავს, რომ გუბაზს ამის სურვილი ჰქონდეს. საიდან მოდის ასეთი აბსურდები, არ მესმის. მე გესაუბრეთ თანამშრომლობაზე პარტიებს შორის, მერე ამას ვიღაც დაარქმევს გარიგებას. რაც გინდათ, ის დაარქვით, მაგრამ უნდა ვითანამშრომლოთ, რომ ეს მონსტრი ივანიშვილი მოვიცილოთ. ოღონდ ეს თანამშრომლობა შემოიფარგლება ერთმანეთთან კოორდინაციით. განსხვავებული ხედვების მიუხედავად, თამაშის წესების დადგენა მაინც შესაძლებელია.

ვის შეიძლება დაებადოს ტვინში ეგეთი რაღაცა, რომ შეიძლება გარიგდნენ მიხეილ სააკაშვილი და ნინო ბურჯანაძე? სააკაშვილი საქართველოს ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანების მომხრეა, ხოლო ბურჯანაძე ამბობს, რომ ნატოში გაწევრიანება არ შეიძლება. სად შეიძლება გარიგდნენ? რომელი თმობს პოზიციას? თუ ბურჯანაძე დათმობს თავის პოზიციას, შემოტრიალდება და იგივე პოზიციას დაიჭერს, როგორიც ჰქონდა ვარდების რევოლუციის დროს გარკვეული პერიოდი, სანამ პრორუსულ პლატფორმას დაადგებოდა, მაშინ შესაძლებელია უფრო აქტიური თანამშრომლობა. მაგრამ რამდენად გულწრფელი იქნება, ეს სხვა საკითხია.

იმათ თავისი მოსაზრებები აქვთ, იმათ ისე ესმით პატრიოტიზმი და საქართველოს ინტერესი, რაც ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია. ჩვენ სხვანაირად გვესმის პატრიოტიზმი და ესეც გაცხადებული გვაქვს.

რა თანამშრომლობაც არის, ის უნდა გავაკეთოთ მოზომილად და არა რაღაცა უფრო ღრმა თანამშრომლობაზე, გაერთიანებასა და პარტიაში გაწევრიანებებზე. ეს ნამდვილად მცდარია და ალბათ ესეც ივანიშვილის „ტროლების“ ჭორებია.

გია აბაშიძე: „ნებისმიერი რეგულაცია უკანონო შავ ხვრელებს წარმოშობს“

ლელა მდივანი

იურიდიული კომიტეტის სხდომაზე განიხილეს კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, უცხო ქვეყანაში უკანონოდ დარჩენის მიზნით, საქართველოს მოქალაქის დახმარება, დასჯადი გახდება. თუ ეს ინიციატივა კანონად იქცევა, კანონდამრღვევი 2- დან 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით დაისჯება. აღნიშნული ცვლილების მთავარი მიზანი, როგორც პროექტის ავტორები აცხადებენ, ევროპაში უვიზო მიმოსვლის შეჩერების საფრთხის თავიდან არიდებაა.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის ინფორმაციით, ეს ცვლილებები კანონის მიღების შემდეგ მე-15 დღეს ამოქმედდება. ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსის 344(2) მუხლის პირველს ნაწილს ეხება. ინიციატორი საგარეო ურთიერთობათა კომიტეტია.

აღნიშნულ ცვლილებას არაერთგვაროვნად აფასებენ ექსპერტები და ოპოზიციის წარმომადგენლები. მათთვის, მართალია, კანონპროექტის მიზანი მისაღებია, თუმცა თვლიან, რომ ხელისუფლებას ამ კანონის ამოქმედებამდე ან პარალელურად განსახორციელებელი პროცესები გამორჩა.

ანალიტიკოსი გია აბაშიძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ ხელისუფლების მხრიდან აღნიშნულ კანონპროექტში გარკვეული დეფინიციები დასაკონკრეტებელია და ამასთან, არსებობს შეკითხვები, რომლებზეც პასუხი გასაცემია.

რა კითხვები არსებობს არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებულ კანონპროექტზე, რა „შავი ხვრელი“ შეიძლება წარმოიშვას მისი ამოქმედებით ამ საკითხებზე, **გია აბაშიძე** „ახალ თაობასთან“ საუბრობს.

– როგორ შეაფასებთ ამ გადაწყვეტილებას?

– ევროკავშირში უვიზო მიმოსვლა არის ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა და ამას გაფრთხილება უნდა. ბუნებრივია, მივესალმები ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნებისმიერ ინიციატივას და ასევე სამოქალაქო სექტორისგან, მაგრამ შემოთავაზებული კანონპროექტის მიმართ არის არაერთი შეკითხვა, რომელსაც გამოხატავენ როგორც აქ, არასამთავრობო სექტორის და მათ შორის ჩვენ, ანალიტიკოსები, ასევე ჩვენი თანამოქალაქეები უცხოეთში, ვგულისხმობ ჩვენს ემიგრანტებს. მათ აქვთ ძალიან სერიოზული შეკითხვები, რომ დეფინიციებია დასაზუსტებელი ამ კანონპროექტთან დაკავშირებით. კერძოდ, ის, რომ მაგალითად, ვისზე მოხდება ამ სასჯელების, სანქციების გამოყენება. ხომ შეიძლება, იქ რომ გარკვეულწილად ვიღაც ადამიანებს ეხმარებოდნენ უანგაროდ, მაგრამ შემდეგ მათ დაადანაშაულონ მასპინძელი მხარე, ჩვენი თანამოქალაქე, რომ ანგარებით ხდებოდა ეს. ამ ჯგუფების დეფინიცია, მეტი კონკრეტიკაა საჭირო. ჩვენ გვაქვს არაერთი დიასპორული ორგანიზაცია ჩვენი თანამოქალაქეების მიერ შექმნილი, რომელსაც არ აქვს იურიდიული სტატუსი და ისინი რომ ეხმარებიან იქ ჩასულ ჩვენს თანამოქალაქეებს. ძირითადად ჩვენი ემიგრანტების დიდი ნაწილი საკუთარ თავს სოციალურ-ეკონომიკურ დევნილად მიიჩნევს. ეს ძალიან პრობლემურია ჩვენი ქვეყნისთვის. მესმის, რომ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გაუმჯობესება ერთ თვეში, ორში, ან ორ-სამ წელიწადში ვერ მოხდება, მაგრამ, დიასპორული ორგანიზაციების სტატუსია საჭირო, აუცილებლად განსახორციელებლია. ასევე აი ამ შემოთავაზებული ინიციატივების მეტი კონკრეტიკა და დეფინიცია არის საჭირო და იმედი მაქვს, რომ ეს გამოჩნდება შემდეგ განხილვებზე. კითხვები ბევრია, პასუხები ნაკლები, მაგრამ მე მესმის პარლამენტის, მესმის ქალბატონი ხულორდავას ინიციატივის. კარგია, მაგრამ მინდა, რომ ეს ყველაფერი იყოს ჯანსაღად, შეკითხვა-პასუხის ინტენსიურ რეჟიმში იმ დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებიც არიან სამოქალაქო სექტორისგან თუ დიასპორული ორგანიზაციისგან.

– თქვენ ახსენეთ სოციალურ-ეკონომიკური დევნილები და ზუსტად ოპოზიციონერი დეპუტატები ამას აცხადებენ, რომ მთავრობამ არა შედეგს, არამედ მიზეზს უნდა ებრძოლოს და უკანონო მიგრაციას სამუშაო ადგილების შექმნით უნდა დაუპირისპირდესო.

– კიდევ ერთ-ერთი კარგი ნაბიჯი იქნება ინტენსიური, ზეინტენსიური მოლაპარაკებები, რომლებიც ისედაც გვაქვს. მაგალითად: გერმანია, საფრანგეთი, პოლონეთთან სამუშაო კვოტების გამოყენებაზე, მაგრამ ამაზე კიდევ უფრო ინტენსიური აქტივობებია ხელისუფლების მხრიდან საჭირო, რომ სამუშაო ვიზების შესახებ უფრო ინტენსიური მოლაპარაკებები გაიმართოს ევროკავშირის არაერთ წევრ ქვეყანასთან, რომ ხალხს იმედები გაუჩნდეს. ნებისმიერი შეზღუდვა და რეგულაცია წარმოშობს ხოლმე უკანონო შავ ხვრელებს და შესაძლოა გაურკვევლად ზერეგულაციამაც გამოიწვიოს ეს. კონკრეტული მაგალითი რომ ვთქვათ: ადამიანი ჩავიდა მაგალითად ათენში, იცხოვრა თავის მეგობართან, ნათესავთან 2-3 თვე, უანგაროდ. შემდეგ, ვთქვათ, იმან ვერ დაასაქმა და ამან თავის ნათესავს უნდა მოსთხოვოს პასუხი, რომ ფული გამომართვა და „გადამაგდო“? როგორ აღსრულდება ეს კანონი იქ? მაგალითად, ჩვენს თანამო-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ვახტანგ მაისაია: „რუსეთის გააქტიურება საქართველოში ნატოს წვრთნებს უკავშირდება“

გულიკო ბალაძე

ბოლო დროს აფხაზეთისა და ცხინვალის მხრიდან რუსეთი ერთდროულად გააქტიურდა. უკავშირდება თუ არა რუსეთის ბოლოდროინდელი გააქტიურება საოკუპაციო ხაზზე და ადამიანების გატაცებებით და კარასინის მუქარები საქართველოში ნატოს წვრთნების დაწყებას? – „ახალი თაობა“ ექსპერტ **ვახტანგ მაისაიას** ესაუბრა.

– ბატონო ვახტანგ, ახალ ზელანდიაში ტერორისტთა იარაღებზე ქართული ასოებით ამოტვიფრული იყო „დავით აღმაშენებელი“, „დავით სოსლანი“ და სხვა წარწერები. რას ნიშნავს ეს?

– იარაღზე, რომელიც ტერორისტს ეკუთვნის, აღმოჩნდა წარწერები: „დიმიტრი სემიანინი“, „დავით აღმაშენებელი“, „დავით სოსლანი“. შეიძლება ვინმე მიგრანტი იყოს. ახალ ზელანდიაში ბევრი ქართველი არ არის წასული. შეიძლება საქართველოში გაზრდილი რუსი იყოს. შეიძლება პროვოკაციას აქვს ადგილი.

ეს არის ადგილობრივი ნეონაცისტური დაჯგუფების მიერ ჩადენილი ქმედება ადგილობრივი მუსლიმანების წინააღმდეგ. აქ ისლამური სახალიფო არაფერ შუაშია. ბრეივიკის ტიპის ტერორისტია.

– ჩვენი უსაფრთხოების სისტემა თუ არის იმ დონეზე, რომ რაღაც ლოკალურ გამოწვევებს მაინც გაუმკლავდეს?

– ჩვენი უსაფრთხოების სამსახური ბოლო პერიოდში დადებით შეფასებას იმსახურებს. სიტუაციას აკონტროლებს. ქვეყანაში კარგი საფუძველი შეიქმნა. კონტრტერორისტული მიმართულებით გადაიდგა საკმაოდ კარგი ნაბიჯები, შემუშავდა კონტრტერორისტული ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც მთავრობამ დაამტკიცა, რომ უსაფრთხოების სტრუქტურებმა სახელმწიფოებს შორის გააძლიერონ მუშაობა, გააძლიერონ ეს მიმართულება და საერთაშორისო დონეზე შეძლონ გასვლა.

ახალი ზელანდიის უსაფრთხოების სტრუქტურები უკვე დაუკავშირდნენ ჩვენს სტრუქტურებს და ეჭვი არ მეპარება, რომ უმოკლეს დროში დაადგენენ იმ პირების ვინაობასა და კავშირებს, რომლებიც აღნიშნულ ტერაქტში მონაწილეობდნენ.

ასეთ საკითხებში უნდა ჩაერთოს იგივე კონსტიტუციური ზედამხედველობის უსაფრთხოების დეპარტამენტი, რომ გამოავლინონ რადიკალური დაჯგუფებების (თუ ასეთები არის) არეალები.

საქართველოს უსაფრთხოების სისტემა საქართველოში საკმაოდ სერიოზულ გამოწვევებს ხვდება, რაც ასევე უკავშირდება სახელმწიფო უშიშროების თემატიკას, ეროვნულ უსაფრთხოებას თავი რომ დავანებოთ.

– უსაფრთხოების სისტემის და სამსახურების რეფორმირების საჭიროება თუ არის?

– სისტემა ძლიერი თავიდანვე უნდა იყოს. ამ ეტაპზე უსაფრთხოების სამსახურები რეფორმირებას ნაკლებად ექვემდებარება, განსხვავებით თავდაცვის უწყებისაგან. თავდაცვის უწყებაში უფრო მეტი გამოწვევაა სახელმწიფო უშიშროების სამსახურებისგან განსხვავებით.

იმ ფონზე, როდესაც დღეს საქართველოში არის ღრმა პოლიტიკური კრიზისი, უსაფრთხოების სისტემა მეტ-ნაკლებად უმკლავდება ამ ეტაპზე არსებულ გამოწვევებს. შემდეგ ეტაპზე რა იქნება, მომავალი გვიჩვენებს.

საპარლამენტო კრიზისი გრძელდება. მოსალოდნელია საპარლამენტო კრიზისის უფრო გაღრმავება. ამ კრიზისმა შესაძლებელია ქვეყანა სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენოს.

– თქვენ კრიზისს რაში ხედავთ?

– უმრავლესობის დანაწევრებაში, რაც სასამართლო ხელისუფლებაში არსებული კრიზისის ფონზე კიდევ უფრო ხელშესახები გახდება.

– ამ კრიზისის ფონზე მტერი უფრო აქტიურდება. კვარაცხელიას მკვლელობა აფხაზეთში, ადამიანების გატაცებები ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებიდან. საზღვრის გადმოწევის ფაქტებზეც არის საუბარი.

– მეც ამაზე ვსაუბრობ, სიტუაცია მწვავდება. ირაკლი კვარაცხელიას მკვლელობა სერიოზული ფაქტია. როგორც ჩანს, ეს ტატუნაშვილისა და მისი თანმდევი მოვლენების გაგრძელებაა. დღეს რაც ხდება, იმის მანიშნებელია, რომ გაზაფხულის პერიოდში დიდი გამოწვევების წინაშე დავდგებით.

– რას შეიძლება უკავშირდებოდეს სიტუაციის ასე გამწვავება?

– ძნელია თქმა, მაგრამ რამდენიმე დღის წინ, ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადება, რომ ქართული მხარის მიერ რაღაც პროვოკაცია იგეგმებოდა და ისინი შესაბამის ზომებს მიიღებდნენ.

ფაქტობრივად, ეს განაცხადეს ვითარების გაუარესებამდე ორი დღით ადრე და ცხადი იყო, რომ რუსული მხარე პროვოკაციის მოსაწყობად ემზადებოდა.

– ირაკლი კვარაცხელიას თვითმკვლელობის გჯერათ?

– ეჭვი მეპარება, რომ ირაკლი კვარაცხელიას დაღუპვა თვითმკვლელობას უკავშირდებოდეს. ვფიქრობ, იგივე მოხდა, რაც ტატუნაშვილთან დაკავშირებით. კვარაცხელია გადაყვანეს სამხედრო ბაზაზე. სამხედრო ბაზაზე, როგორც ჩანს, მას დაკითხავდნენ სამხედრო კონტრდაზვერვის თანამშრომლები, გამოიყენებდნენ დაკითხვის მათთვის მისაღებ ფორმებს ყოველგვარი ცერემონიების გარეშე.

– რა ფორმას?

– ეს არის მესამე დონის დაკითხვა.

– ანუ?

– ეს არის სპეციალური ტერმინი, რომელიც ნიშნავს წამების ყველა ფორმის გამოყენებას. არ გამოვრიცხავ, რომ კვარაცხელიას მიმართ მესამე დონის დაკითხვის ფორმა გამოიყენეს. ის დაკითხეს ჯვარედინი დაკითხვის ფორმით, რამაც მისი დაღუპვა გამოიწვია. მისი მკვლელობის კვალი რომ დაეფარათ, მოახდინეს თვითმკვლელობის ინსცენირება.

მესამე დონის დაკითხვა და წამების ფორმების გამოყენება რუსული სამხედრო კონტრდაზვერვისთვის მიღებული ფორმაა. მიღებული ფორმაა წამების მეთოდები. ახორციელებენ ადამიანის მოკვლას. სამწუხაროდ, ამის მსხვერპლი შეიქმნა ჩვენი მოქალაქე.

– რუსეთი ერთდროულად გააქტიურდა აფხაზეთისა და ცხინვალის მხრიდან. როგორც ჩანს, კარასინის მუქარა სრულდება და უნდათ ურთიერთდაპირისპირებაში ჩაგვაბან.

– პროვოკაციები ეწყობა ხურვალეთში და სხვაგანაც. რუსებისგან ყველანაირი პროვოკაცია მოსალოდნელია.

– მოსალოდნელი არის, რომ რუსეთი უფრო შორს წავიდეს და, როგორც 2008 წელს, დღევანდელი საოკუპაციო ხაზის აქეთ ტანკებით შემოიჭრას?

– დღევანდელი რუსეთისგან ყველაფერია მოსალოდნელი. რუსეთი სამხედრო მუქარას მიმართავს ბევრად ძლიერი სახელმწიფოების მისამართით და კუნთებს ათამაშებს ასევე შავი ზღვის აკვატორიის ფარგლებში. სამმა რუსულმა ბომბდამშენმა დაიწყო შავი ზღვის პატრულირება.

– ამ ეტაპზე როგორ შეგვიძლია გავუმკლავდეთ რუსულ შემოტევებს?

– საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით, საერთაშორისო საზოგადოების ოპერატიული ინფორმირებით, რომ თავიდან ავიცილოთ ოკუპაციის სცენარების განვითარება ჩვენს ტერიტორიაზე.

დღეს საქართველოში კრწანისის ბაზაზე იწყება ნატო-საქართველოს მრავალეროვანი სამხედრო წვრთნები. შეიძლება რუსეთის გააქტიურება ამ წვრთნების დაწყებასთან იყოს დაკავშირებული.

რატომ ამბობს უარს სააკაშვილი პარტიის თავმჯდომარეობაზე

ნათია ხურცილავა

სოსო ცინცაძე: „ეს არის ყველაზე სწორი და დროული გადაწყვეტილება“



პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებაზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ნაციონალური მოძრაობის ახალი თავმჯდომარის არჩევნები უნდა გაიმართოს და ის მხარს გრიგოლ ვაშაძეს უჭერს. რა გზავნილია ეს სააკაშვილის მხრიდან, რატომ მიიღო მან ეს გადაწყვეტილება, თქვენ როგორ ხსნით?

– ეს არის ყველაზე პრაგმატული და დროული გადაწყვეტილება. რასაკვირველია, ეს არის სააკაშვილის გადაწყვეტილება და მას ვერავინ ამას ვერ აიძულებდა. პარტია ამდენ ხანს გაორებულ მდგომარეობაში იყო. მათ ჰყავდათ პარტიის თავმჯდომარე, მაგრამ ის ვერ იღებდა აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში. 21-ე საუკუნეში, ტექნოლოგიების ეპოქაში, თითქოს ამის პრობლემა არ უნდა იყოს, მაგრამ დისტანციურად პარტიის მართვა მაინც ძალიან რთულია.

ამავე დროს თითქოს გამოჩნდა ლიდერი. საპრეზიდენტო არჩევნებში გრიგოლ ვაშაძეს დაამტკიცა, რომ მას აქვს უნარი, მონაცემები და სურვილიც, რომ ლიდერი იყოს. კიდევ ერთი ფაქტორი, მის მიმართ სამართალდამცავებს არა აქვთ კითხვები და მას ასე პირდაპირ ვერავინ ვერ მიაწერს სისხლიან 9-წლიან რეჟიმს, ის საშინაო საქმეებში არ ერეოდა.

რაც მთავარია, ეს არის ზუსტი და დროული გადაწყვეტილება. არც ადრე და არც გვიან. მე ვიტყოდი ზუსტი იუველირის მონახაზით, სისწორით გაკეთებული პოლიტიკური სვლა სააკაშვილის მხრიდან. აი, სად უგებს ის ხელისუფლებას. იგი გრძნობს მაჯისცემას, პულსაციას, მერე რა, რომ ქვეყანაში არ იმყოფება, ის არის პოლიტიკური ცხოველი და გრძნობს.

– მაინც რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება?

– მე დარწმუნებული ვარ, რადგან პირადად ვიცნობ, ეს არ იქნებოდა მისთვის მარტივი გადაწყვეტილება.

– ყოფილი ნაციონალები, „ევროპული საქართველოს“ წვერები ამბობენ, თავის დროზე ამას ვურჩევდით, არ მიიღო ეს გადაწყვეტილება და პარტია დაშალაო. უგულავამ, ციხიდან ჩემი გამოგზავნილი წერილის ციტატა მეგონაო...

– კი, დარწმუნებული ვარ, ასეც იქნებოდა, მაგრამ მოგვწონს თუ არ მოგვწონს ეს კაცი, მაინც პოლიტიკისთვის არის დაბადებული. სანამ ცოცხალია სააკაშვილი, პოლიტიკას არ შეეშვება. ამერიკაში ერთ-ერთ უნივერსიტეტში პროფესორობა შესთავაზეს, კიდევ იყო შეთავაზებები, როგორც ვიცი, მაგრამ ის მაინც პოლიტიკოსია. მართალია ეს მისი გადაწყვეტილებაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის პარტიას განუდგა და მიატოვა. ეს ნიშნავს დისტანცირებას. თუმცა, მისი გავლენა აუცილებლად შემცირდება, ეს მას უნდა თუ არ უნდა. აღმოსავლეთში არის ასეთი გამოთქმა: ჰარამხანაში უფროსი ცოლის სტატუსი! (მაქსიმუმი პატივისცემა, მინიმუმი ინტერესი) შეიძლება ამ რეალობაში აღმოჩნდეს.

ამ გადაწყვეტილებით ვაშაძე უკვე ხელ-ფეხ გახსნილი იქნება. ეს არის პრაგმატული გადაწყვეტილება. თანაც, ამ გადაწყვეტილებით მთავარ კოზირს ართმევს სააკაშვილი ხელისუფლებას „მიშა მოდის!, მიშა მოდის“!

– „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ერთმანეთს კვებავდნენ. გამოდის, საპარლამენტო არჩევნებზე ეს რიტორიკა არ იმუშავებს? ეს მოცემულობა იცვლება?

– ერთხელ დეპუტატმა დავით ჭიჭინაძემ თქვა: „მგელი მოდის, მგელი! როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი მგელიაო“. მე ვეთანხმები, უკვე აღარ იმუშავებს ეს რიტორიკა. რომელი სააკაშვილი, ის უკვე განერიდა პოლიტიკურ პროცესებს. მისი ფაქტორი მთელი 7 წელი „ოცნების“ წისქვილზე ასხამდა წყალს, როგორც ჩანს, ეს გააცნობიერა პირველ რიგში.

– როგორ ფიქრობთ, სააკაშვილის ამ ნაბიჯს რას დაუპირისპირებს „ქართული ოცნება“?

– რას დაუპირისპირებს თუ არა შავ პიარს, ყველაზე პრიმიტიულს, რაც იქნება: ბუტაფორიული წასვლაა, რომ ვაშაძე მარიონეტია და ისევ მიშაა თავმჯდომარე, მაგრამ ამომრჩევლისთვის ეს დამაჯერებელი აღარ იქნება. ყოველ შემთხვევაში, აღარ იმუშავებს. როგორც ჩანს, საპრეზიდენტო არჩევნებმა ნაციონალურ მოძრაობას ბევრი რამ ასწავლა, ეს ჩანს თუნდაც ამ გადაწყვეტილებით. რასაც ვერ ვიტყვი „ოცნებაზე“. ნაციონალებმა ერთი ნაბიჯით გაუსწრო მმართველ პარტიას პოლიტტექნოლოგიაში.

– გამოდის, ნაციონალურმა მოძრაობამ 2020 წლის არჩევნებისთვის მზადება ყველას დაასწრო?

– რასაკვირველია. ამ განცხადებით ჩათვალეთ, რომ ადრე გაზაფხულზე ისინი გრძელ წინასაარჩევნო მარათონს იწყებენ. როგორც ჩანს, პარტიას ახალი სტრატეგია, ახალი გეგმები აქვს.

კიდევ ერთი ფაქტორი არის საყურადღებო: თითქოს ყველას დაასწრესო, მაგრამ იცით რაშია საქმე, ნაციონალურ მოძრაობას კონკურენტები უჩნდებიან.

– ე.წ. მესამე ძალის გამოჩენას გულისხმობთ?

– ეს ძალა რომც არ გამოჩნდეს, უკვე დაანონსდა, რომ პროცესებში ერთვებიან დათო მაღრაძე და უცნობი. „დაიცავი საქართველო“ ცოცხლდება.

– ფიქრობთ, ისინი ნაციონალებს ელექტორატს წაართმევენ? ამ სეგმენტზე იმუშავებენ?

– არა, შეიძლება ასე პირდაპირ არა, მაგრამ ამ არჩევნებზე ძირითადი ბრძოლა ოპოზიციურ პარტიებს შორის მერყეე ელექტორატზე იქნება.

– დაახლოებით 60 პროცენტია.

– დიახ, სწორედ ამ სეგმენტს ვგულისხმობ. ეს არ არის პატარა რიცხვი. ძველ „ოცნებას“ არავითარი შანსი არა აქვს, რომ გადაუწყვეტელი ელექტორატი მიიმხროს. ახლა „ქართული ოცნების“ რეიტინგი სულ უფრო და უფრო ქვევით წავა. პარლამენტში უკვე დაიწყო მოსამართლეთა კანონპროექტებზე მსჯელობა. ხომ ხედავთ, რა ხდება. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების საკითხი ისეთი ბეწვის ხიდია „ქართული ოცნებისთვის“, რომ ამას ისინი ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებენ. ეკა ბესელია კიდევ უფრო ხმამაღლა ალაპარაკდება, რაც უფრო მოახლოვდება გამწესების დრო.

„ქართული ოცნების“ შიდა დაპირისპირება პიკს სწორედ უზენაესის მოსამართლეების გამწესების დროს მიაღწევს. კინო ჯერ კიდევ წინ არის. რომ იტყვიან, დედა შვილს არ აიყვანს ხელში, ისეთი ამბავი იქნება. ამიტომ, დროში ეს ყველაფერი მმართველი პარტიისთვის საზიანო პერიოდს ემთხვევა, ოპოზიციისთვის კი პირიქით. რასაკვირველია, დაღმავალ რეიტინგს ვგულისხმობ. ეს „ქართული ოცნებისთვის“ საზიანოდ იმუშავებს. ადამ და ევადან მოყოლებული დადგენილია და ყველამ იცის, ერმაც და ბერმაც, ეს, როგორც დაუწერელი კანონი, ისეა საქართველოშიც და დიდ ბრიტანეთშიც, არა აქვს მნიშვნელობა სად, მოსამართლეები არავისი არ უნდა იყვნენ არსად.

ერთ წელიწადში 11 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გაუქმდა

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ბაზრიდან 11 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გავიდა. სპეციალისტების ვარაუდით, ეს ტენდენცია შენარჩუნდება, რაც საბოლოო ჯამში დასაქმების ბაზარზე ნეგატიურად აისახება – კიდევ უფრო შემცირდება სამუშაო ადგილები.

ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 2019 წლის 11 მარტის მდგომარეობით, ქვეყანაში 62 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფუნქციონირებს, რაც დეკემბერთან შედარებით – ხუთით; ხოლო წინა წლის მარტთან შედარებით – 11-ით ნაკლებია.

„ალიანს ჯგუფი ჰოლდინგის“ აღმასრულებელი დირექტორი აიეტ კუკავას თქმით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბაზრიდან გასვლის ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება. ეს კი, საბოლოოდ, უმუშევრობის დონის ზრდას გამოიწვევს.

– კომპანიების ბაზრიდან წასვლა ყველაზე დიდი უარყოფითი მოვლენაა. ეს კომპანიები წლობით მუშაობდნენ. ჰყავდათ ხალხი დასაქმებული. ჰყავდათ თავიანთი კლიენტურა და ახლა ბაზრიდან მიდიან და ხალხიც უმუშევარი რჩება. ყველაფერი უნდა იყოს დროში გაწერილი, რადგან ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით რეგულაციების ამოქმედება პატარა კომპანიებისთვის, როგორიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებია, რთულია.

ეს პრობლემა მხოლოდ დარგთან აქტიური მუშაობით შეიძლება მოგვარდეს. ეროვნულმა ბანკმა ბაზრის მოთამაშეების გარეშე არაფერი არ უნდა გადაწყვიტოს. შეგვითანხმდნენ, იქნებ რამე უკეთესი მოვიფიქროთ. მთელ მსოფლიოში, მათ შორის ამერიკაშიც, რეგულატორები დარგის მოთამაშეებს ეძახიან, ვინაიდან ბიზნესი ყოველთვის ცდილობს ახალი გამოსავალი მოძებნოს და მათთან კონსულტაციის შემდეგ ღებულობენ გადაწყვეტილებებს, აქ კიდევ ყველაფერი პირიქით ხდება, – აღნიშნა აიეტ კუკავამ.

საზოგადოება და ბანკების, საბანკო პროდუქტების ექსპერტის, ანი ალიბეგაშვილის თქმით, მიკროსაფინანსოების დახურვა, ერთი მხრივ, ორგანიზაციების გამსხვილების პროცესითაა გამოწვეული, ხოლო მეორე მხრივ, ისინი ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული სტანდარტების დაკმაყოფილებას ვერ ახერხებენ.

– მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემცირება, ერთი მხრივ, გამოწვეულია გამსხვილების პროცესით და მეორე მხრივ, ისინი ვერ ახერხებენ ამ სტანდარტების დაკმაყოფილებას, რაც ეროვნულმა ბანკმა დაუწესა და ეს პროცესი 2019 წელსაც გაგრძელდება. ზოგადად, გამსხვილების პროცესი არ არის ცუდი, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ბევრი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია იყო. პრობლემაა, რომ მოსახლეობას შეზღუდული აქვს ფინანსურ რესურსებზე წვდომა, რის გამოც ისინი ჩრდილოვან ბაზარზე ალტერნატიულ გზებს ე.წ. მევახშეების სახით ეძებენ, – განაცხადა ანი ალიბეგაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციით, 2019 წლის 1-ელი იანვრიდან შემოსავლების დადასტურების გარეშე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს (ბანკებს) სესხის გაცემა აეკრძალათ. ლიმიტი დაწესდა თანხის გაცემაზეც, რაც ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციით, მომხმარებლის შემოსავლის ოდენობაზეა დამოკიდებული. უფრო ადრე კი ძალაში შევიდა სების კიდევ ერთი რეგულაცია, რომლის მიხედვითაც, კლიენტის გადამხდელუნარიანობის ანალიზის გარეშე საფინანსო სექტორს სესხის გაცემა შეეზღუდა.

bpn

ქართველების დაფუძნებული კომპანია გერმანიაში ბანკს ყიდულობს

ქართველების მიერ დაფუძნებული ფინტექ კომპანიაRaisin გერმანული MHB Bank-ის შეძენას გეგმავს.

MHB გერმანიაში საბანკო სერვისების ერთ-ერთი წამყვანი მიმწოდებელი საფინანსო ორგანიზაციაა.

ამ ეტაპზე გარიგების ზუსტი დეტალები ცნობილი არაა და ის, ჯერჯერობით, მარეგულირებლის თანხმობას საჭიროებს.

Raisin-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი თამაზ გიორგაძეა.

Techcrunch-ი წერს, რომ Raisin-მა $114 მილიონის ინვესტიციის მოპოვება ახლახან შეძლო.

გიორგაძის თქმით, საბანკო ლიცენზიის არქონა მათი კომპანიისთვის ევროპაში გაფართოების პროცესში დაბრკოლებას წარმოადგენდა.

ცნობისთვის: Raisin 2013 წელს დაფუძნდა და ბერლინიდან საქმიანობს. კომპანია მომხმარებლისთვის აგვარებს ძალიან მარტივ პრობლემას – საბანკო დეპოზიტის შეძენით დაინტერესებული ადამიანისთვის ძალიან რთულია გადაწყვიტოს, რომელი სადეპოზიტო პროდუქტი აირჩიოს მაშინ, როცა პირობები ყველა ბანკს აქვს განსხვავებული. პლატფორმა საშუალებას იძლევა, მარტივი ინტერფეისის საშუალებით შევადაროთ სადეპოზიტო პროდუქტები ევროპული ბანკების მასშტაბით. მეორე მხრივ, პლატფორმა პატარა ბანკებს ეხმარება მიიღოს წვდომა სადეპოზიტო პროდუქტის შეძენით დაინტერესებულ ადამიანებთან.

BM

გია აბაშიძე: „ნებისმიერი რეგულაცია უკანონო შავ ხვრელებს წარმოშობს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ქალაქეზე, საბერძნეთის მოქალაქე იურისტზე, რომელმაც გაუწია არალეგალს იურიდიული მომსახურება? ძალიან ბევრი შეკითხვაა.

– როცა ასეთ კანონს იღებ, არალეგალი ემიგრანტებისთვის, რომლებიც ეკონომიკური პრობლემების გამო მიდიან ევროპაში, ალტერნატივის შეთავაზებაც ხომ უნდა მოხდეს?

– იმდენი ნიუანსია აქ, რომ რამდენად შეიძლება ამ კანონის გარკვეული მუხლების როგორ და ვისზე გადანაწილება. ჩაკონკრეტება არის ამისი აუცილებელი, რომ არ გაჩნდეს ეჭვები. დეფინიციების კონკრეტიკას ვერ ვხედავ ჯერჯერობით, მაგრამ იმედს გამოვთქვამ, რომ შემდგომი განხილვებისას იმ დაინტერესებულ მხარეებისგან, ემიგრანტებისგან თუ დიასპორული ორგანიზაციებიდან ან სამოქალაქო სექტორისგან კითხვა-პასუხის რეჟიმში გავიგებთ, უფრო რა და როგორ იქნება.

– მესამე სექტორი ამ პრობლემიდან გამოსავალს ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის წარმოებაში ხედავს, რომ მოქალაქეებმა იცოდნენ, თუ რატომ არის პრობლემური შენგენში შესვლის და გამოსვლის წესების დარღვევა. ამაზე რას ფიქრობთ?

– ნებისმიერი საინფორმაციო კამპანია, კი, ბატონო, ვაღიარებთ, რომ კარგია. ნებისმიერ ინიციატივას, საინფორმაციო კამპანია თან უნდა სდევდეს. საქართველოში საინფორმაციო კამპანიას აწარმოებს ევროკავშირის და ნატო-ს ცენტრი. ეს არის საგარეო სამინისტროს სსიპ-ი. უკვე რამდენიმე წელია, რამდენიმე ტალღით განახორციელა. იყენებენ ამაში ექსპერტებს, სხვადასხვა მიმართულების ანალიტიკოსები დადიან სოფელ-სოფელ, გამგეობებში. ეს კარგი პროცესია ნამდვილად და კიდევ უფრო უნდა გააქტიურდეს და, რასაკვირველია, საინფორმაციო კამპანია არ არის ყოველთვის საკმარისი, თუნდაც, ევროპაში.

რას გულისხმობს საქორწინო კონტრაქტი და რა უპირატესობები აქვს მას?

2015 წლიდან 2018 წლამდე საქართველოში 37 800-ზე მეტი წყვილი განქორწინდა, საქორწინო ხელშეკრულება კი მხოლოდ 151-მა წყვილმა დადო. რას გულისხმობს საქორწინო კონტრაქტი და რა უპირატესობები აქვს მას? – ამ თემაზე ისაუბრეს რადიო კომერსანტზე გადაცემაში „ადვოკატის საათი მარიკა არევაძესთან ერთად“ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარემ, მარიკა გოგოლაძემ და ახალგაზრდა ადვოკატების იურისტმა, სოფიო მექანარიშვილმა.

მარიკა გოგოლაძის თქმით, საქორწინო კონტრაქტი აუცილებლად უნდა იქნას დადასტურებული საჯარო რეესტრში.

– საქორწინო კონტრაქტი განქორწინების შემდგომ დავების აცილების საუკეთესო საშუალებაა. თუმცა ქართული მენტალობიდან გამომდინარე, იშვიათად მიმართავენ მას. საქორწინო კონტრაქტის არსებობის ისტორია 2 ათას წელს ითვლის, თუმცა თავდაპირველად კონტრაქტი ზეპირი წესით იდებოდა. შუა საუკუნეებიდან კი მან წერილობითი ფორმა მიიღო, იგი იდებოდა მაშინ, როცა ქალს მზითვად მიწა მიჰყვებოდა გათხოვების შემდგომ.

დღეს საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ქორწინებამდე, ისე ქორწინების შემდეგ. თუ ქორწინებამდე იდება, მაშინ იგი ძალაში შედის რეგისტრაციის შემდეგ. საქართველოს კანონმდებლობით ის მხოლოდ ქონებრივ უფლება-მოვალეობებს ითვალისწინებს.

ის წერილობით უნდა იყოს სანოტარო წესით დადასტურებული საჯარო რეესტრში. ეს აუცილებელი წინაპირობაა. ხშირად იდება ხელშეკრულება ქართველ და უცხოელ წყვილს შორის, ჩვენი კანონმდებლობით, როგორც უკვე აღვნიშნე, იგი ქონებრივ უფლება-მოვალეობებს ითვალისწინებს, თუმცა ეს არ გამორიცხავს მეუღლეების ურთიერთრჩენას, ალიმენტის გადახდას.

სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ 2009 წელს 15 ხელშეკრულება დაიდო, 2018 წელს კი 45, მონაცემები, უნდა ითქვას, რომ მზარდია.

რაც შეეხება, ხელშეკრულების შეწყვეტას, მნიშვნელოვანია, რომ მისი შეწყვეტა ორივე მხარის მიერ მოხდეს. 2009 წლიდან 2018 წლის ჩათვლით გვაქვს 2 ცვლილება საქორწინო კონტრაქტში და 2009 წლიდან 2019 წლამდე გვაქვს 5 სანოტარო აქტი, რომლითაც გაუქმებულია კონტრაქტი, – ამბობს მარიკა გოგოლაძე.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ იურისტის სოფიო მექანარიშვილის თქმით, საქორწინო კონტრაქტი განქორწინების შემდგომ სასამართლო დავების არიდების, ფინანსური, ადამიანური თუ დროის რესურსის დაზოგვის შესაძლებლობას იძლევა.

– ჩვენი ორგანიზაციის კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ 2015 წლიდან 2018 წლის ჩათვლით, 4 წლის განმავლობაში საქართველოში 151 საქორწინო ხელშეკრულება დარეგისტრირდა, მათგან 3 შეწყდა. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ეს რიცხვი ძალიან მცირეა განქორწინების რიცხვთან. განქორწინების მაჩვენებელი ამ ოთხი წლის განმავლობაში 37 800-ზე მეტია, რაც საკმაოდ მაღალია.

განქორწინების შემდგომი დავები საკმაოდ მრავალფეროვანია. ძირითადად საალიმენტო ვალდებულებებს შეეხება, რომლითაც ქალბატონები მოგვმართავენ განქორწინების მოთხოვნით. დავები გვაქვს ქონების გაყოფაზე, მეუღლის მიმართ ალიმენტის დაკისრებაზე. ალიმენტის დაკისრებას რაც შეეხება, სასამართლო ითვალისწინებს პირის ქონებრივ შესაძლებლობებს, ასევე მნიშვნელოვანია, რომ თანხის რაოდენობა ბავშვის საჭიროებებიდან გამომდინარეობდეს და იყოს რეალური და კარგად დასაბუთებული მეორე მხარის მიერ.

საქორწინო ხელშეკრულება სიახლეა ქართული რეალობისთვის, თუმცა საზოგადოება ნელნელა ეჩვევა მას. იგი ეფექტურია, რადგან წინასწარ არის მასში გაწერილი რისკები, იძლევა საშუალებას, რომ სასამართლო დავები თავიდან ავირიდოთ და დავზოგოთ ფინანსური, ადამიანური რესურსები, და, რაც მთავარია, დროის რესურსი. მისი დახმარებით არ იქნება სასამართლო პროცესი არც დროში გაწერილი, რადგან წინასწარ იქნება მხარეთა შორის შეთანხმებები გარკვეული, – ამბობს სოფიო მექანარიშვილი.

კომერსანტი

ფილარმონიის გაქირავების ფასი შესაძლოა 17.000 ლარამდე გაიზარდოს

თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის გაქირავების ფასი შესაძლოა 17.000 ლარამდე გაიზარდოს.

ამის შესახებ თბილისის საკონცერტო დარბაზის დირექტორმა გიორგი კერესელიძემ ელენე კვანჭილაშვილის საავტორო გადაცემა „ანალიტიკაში“ სტუმრობისას განაცხადა.

აღნიშნულის მიზეზად, ფილარმონიის დირექტორი კომუნალური ხარჯების ზრდას ასახელებს.

ამჟამად თბილისის საკონცერტო დარბაზის ერთი დღის იჯარა 15.000 ლარია.

– იქიდან გამომდინარე, რომ წელს ორჯერ გაგვიძვირდა კომუნალურების ხარჯი – კონკრეტულად, გაზის ნაწილში, ვფიქრობთ, რომ დარბაზის იჯარა 17.000 ლარზე უნდა ავწიოთ; სხვა შემთხვევაში, პრაქტიკულად დარბაზი წაგებაში გამოვა, – განაცხადა კერესელიძემ.

ცნობისთვის: ფილარმონიის მმართველ კომპანია „ინთერნეიშენალ ივენთსს“ რვა წლის განმავლობაში სახელმწიფოს წინაშე 3 მლნ-ის დავალიანება აქვს დაგროვილი, რომელიც დარბაზის მართვის საზღაურის და პირგასამტეხლოს თანხებს მოიცავს.

რამდენიმე დღის წინ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ თბილისის საკონცერტო დარბაზის მართვის შესახებ საკუთარი იურიდიული დასკვნა გამოაქვეყნა.

ორგანიზაციის შეფასებით, არსებული სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, სახელმწიფომ დარბაზის ოპერატორს შპს ინტერნეიშენალ ინვეთსს მართვის უფლება სრულად უნდა ჩამოართვას.

bm.ge

ქვეყნები, სადაც საქართველოდან ყველაზე მეტი ფული გადაირიცხა

რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, საბერძნეთი, უზბეკეთი და სომხეთი – ეს ის 7 ქვეყანაა, სადაც თებერვალში საქართველოდან ყველაზე მეტი თანხა გადაირიცხა.

შვიდივე ქვეყანაში გზავნილების მოცულობამ 13,155 მლნ დოლარი შეადგინა, რაც თებერვალში განხორციელებული მთლიანი გადარიცხვების 74%-ია. 2019 წლის თებერვალში საქართველოდან საზღვარგარეთ 17.7 მლნ აშშ დოლარი (47.1 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 18 მლნ აშშ დოლარისა (44.3 მლნ ლარისა) 2018 წლის თებერვალში.

ქვეყნები, სადაც 2019 წლის თებერვალში ყველაზე მეტი ფული გადაირიცხა:

რუსეთი – 6, 323 მლნ დოლარი
უკრაინა – 2, 010 მლნ დოლარი
თურქეთი – 1, 911 მლნ დოლარი
აზერბაიჯანი – 842,2 ათასი დოლარი
საბერძნეთი – 767,3 ათასი დოლარი
უზბეკეთი – 731,5 ათასი დოლარი
სომხეთი – 571,2 ათასი დოლარი

ცნობისათვის, 2019 წლის თებერვალში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 125.5 მლნ აშშ დოლარი (332.9 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 10.2 პროცენტით (11.6 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2018 წლის თებერვლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

bpn

სასამართლომ სამხედრო პოლიციის თანამშრომელი დამნაშავედ ცნო

ქრთამის აღებისთვის და ქრთამის აღებაში დახმარებისთვის ბრალდებულებს 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ქრთამის აღებაში ბრალდებული, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს სპეციალურ ღონისძიებათა სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსი გ.გ. დამნაშავედ ცნო.

ამავე განაჩენით, ქრთამის აღებაში დახმარებისთვის დამნაშავედ იქნა ცნობილი ააიპ „საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა და მეომართა ვაზიანის კავშირის“ ხელმძღვანელი მ.გ.

უწყების ცნობით, სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, გ.გ.-მ და მ.გ.-მ შეიტყვეს, რომ მოქალაქე ლ.ს., რომელიც ქ. თელავში, სამხედრო ქალაქის დასახლებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ფართიდან სამხედრო პოლიციამ 2016 წელს გამოასახლა, აღნიშნული ფართის დაკავებით ისევ იყო დაინტერესებული.

„2018 წლის ივნისში გ.გ და მ.გ. რამდენჯერმე შეხვდნენ ლ.ს.-ს და დაჰპირდნენ, რომ იმ შემთხვევაში თუ იგი ქრთამის სახით 4000 ლარს გადაიხდიდა, მას შესაძლებლობას მისცემდნენ, ყოველგვარი დოკუმენტაციის და იურიდიული საფუძვლის გარეშე, უნებართვოდ შესულიყო სამხედრო ქალაქის დასახლებაში არსებულ ფართში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ლ.ს.-ს სამხედრო პოლიციის თანამშრომლებისგან პრობლემები შეექმნებოდა, გ.გ. თავის სამსახურებრივ ავტორიტეტს გამოიყენებდა და სამსახურებრივ მფარველობას განახორციელებდა, რათა სამხედრო პოლიციის თანამშრომლების მიერ არ მომხდარიყო მისი და მისი ოჯახის წევრების ბინიდან გამოსახლება.

2018 წლის 27 ივნისს მ.გ ქ. თბილისში სავაჭრო ცენტრ „ლილო მოლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე შეხვდა ლ.ს.-ს, რა დროსაც გ.გ.-სთვის ქრთამის სახით გადასაცემად მოთხოვნილი თანხის ნაწილი 2000 ლარი გამოართვა. 2018 წლის 29 ივნისს კი მ.გ. და გ.გ. ლ.ს.-ს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაზიანის ტერიტორიაზე შეხვდნენ, მ.გ.-მ ქრთამის სახით დარჩენილი 2000 ლარი გამოართვა, რის შემდგომაც მთლიანი თანხა 4000 ლარი გ.გ.-ს გადასცა.

სამართალდამცავებმა გ.გ. და მ.გ დანაშაულის ჩადენის მომენტში, ქრთამის აღების შემდეგ დააკავეს. გ.გ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქრთამის აღება), ხოლო მ.გ.-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-338-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქრთამის აღებაში დახმარება) წარედგინა და ორივე პირს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ გ.გ. და მ.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“.

გურიაში სამმა არასრულწლოვანმა სკოლა გაქურდა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გურიაში მომხდარი ქურდობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა -— მხილებულია 3 არასრულწლოვანი.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ქურდობის ფაქტზე 3 არასრულწლოვანი ამხილეს. მხილებულები არიან: 2002 წელს დაბადებული ნ.ც., 2000 წელს დაბადებული ლ.ჭ. და 2001 წელს დაბადებული ა.ჟ. დანაშაული 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ სამმა არასრულწლოვანმა, მიმდინარე წლის 15 მარტს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთის საჯარო სკოლაში, ღამის საათებში, ფარულად შეაღწიეს, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ შენობაში განთავსებულ ორ ნოუთბუქს, პერსონალურ კომპიუტერს, ქსეროქსის აპარატს, მუსიკალურ ცენტრს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სამივე არასრულწლოვანი მომხდარიდან მეორე დღეს ამხილეს. პოლიციამ მოპარული ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღო.

სამივე მხილებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით ჩადენილი ქურდობის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია“ – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ტრაგედია კახეთში: ავარიისას დაშავებული 2 პირი ისევ ავარიაში მოყვა. ორივე დაილუპა

კახეთში ტრაგედია მოხდა.

დედოფლისწყაროში მსუბუქი ავტომობილი კედელს შეეჯახა და ამოტრიალდა. შემთხვევის შედეგად, დაშავდა ორი პირი, რომელთა საავადმყოფოში გადაყვანა ადგილზე მყოფმა ერთ-ერთის მეგობარმა გადაწყვიტა.

საავადმყოფოში გადაყვანისას აღნიშნული პირი ავტომობილს გადაჭარბებული სიჩქარით მართავდა, იგი ხეს შეეჯახა და ავტომობილში მყოფი ორი ადამიანი სასწრაფო დახმარების მისვლამდე გარდაიცვალა.

უბედური შემთხვევისას დაღუპული არიან 23 და 27 წლის მამაკაცები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რომელმაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

პროკურორი: „იაგო ნებიერიძე პროცესზე გამოცხადდა“

თბილისის საქალაქო სასამართლოში 9 წლის ნანა ბერიაშვილის მკვლელობაში ბრალდებულის იაგო ნებიერიძის სისხლის სამართლის საქმეზე პროცესი გაიმართა.

გუშინდელ სხდომაზე პროკურატურის 6 მოწმე დაიკითხა.

როგორც სხდომის დასრულების შემდეგ პროკურორმა ნანა გუგუტიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, პროცესს ესწრებოდა თავად ბრალდებული იაგო ნებიერიძე.

ნანა გუგუტიშვილის თქმით, ბრალდების მხარის მოწმეებმა საქმეში არსებულ სხვადასხვა გარემოებებზე ისაუბრეს და სასამართლოს მიაწოდეს ის ინფორმაცია, რაც მომხდართან დაკავშირებით მათთვის იყო ცნობილი.

– პროცესზე გამოცხადდა თავად ბრალდებული იაგო ნებიერიძე, რომელიც მონაწილეობდა საქმის მტკიცებულებების გამოკვლევაში. დღეს პროცესზე ასევე დაიკითხა დაზარალებულის უფლებამონაცვლე, რომელმაც ჩვენება მისცა და სასამართლოს დაუფიქსირა მისი პოზიცია და მოთხოვნა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე, – განაცხადა გუგუტიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გორში 9 წლის ნანიკო ბერიაშვილი 25 ოქტომბერს გაუჩინარდა. ის რამდენიმე საათში სამართალდამცველებმა გარდაცვლილი იპოვეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, წარსულში ნასამართლევი იაგო ნებიერიძე დააკავეს.

გურჯაანში ექიმმა ნუკრი ბაღაშვილმა პაციენტ ხვიჩა სამადაშვილს სცემა

ფიზიკური დაპირისპირება მოხდა გურჯაანის საავადმყოფოში. ექიმმა კლინიკაში მისულ პაციენტს სცემა.

ინციდენტს წინ სიტყვიერი დაპირისპირება უძღოდა.

ვითარება „ნიუ ჰოსპიტალში“ მაშინ დაიძაბა, როცა პაციენტმა გადაწყვიტა, რომ მედპერსონალის აგრესიული მოქმედებები ვიდეოთი გადაეღო. ეს კი ექიმმა „არაკაცურად“ მიიჩნია, პაციენტს კამერა წაართვა და სცემა.

ხვიჩა სამადაშვილის თქმით, გურჯაანის საავადმყოფოს პირველად შაბათს მიმართა, 18 მარტს კი გეგმიურ გადახვევაზე იყო დაბარებული.

პაციენტი ხსნარის დასხმას ითხოვდა, თუმცა, ექიმმა უარი განუცხადა.

– არ მიკეთებენ ნიუ ჰოსპიტალში იმას, რასაც ვეუბნები და თავის ნებაზე აკეთებენ. არაკაცური ეს არაფერი არ არის. უნდათ, რომ ნაოპერაციები ამაგლიჯონ, – ამბობს პაციენტი.

ექიმმა ნუკრი ბაღაშვილმა მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ პაციენტი ვიდეოს იღებდა, კამერასთან განაცხადა, რომ პაციენტი „ინტრიგანია“.

– არაკაცურად იქცევა, იმიტომ, რომ ჭუჭყიანზე მთხოვს დასხმას, მე კიდევ არ გავაკეთებ. არასწორად იქცევა, ინტრიგანია, – ამბობს ექიმი.

ხვიჩა სამადაშვილი მომხდარს იხსენებს და ამბობს, რომ ექიმმა ტელეფონი ხელიდან გამოსტაცა.

– ტელეფონი გამომტაცა ხელიდან, მთელი გაწევ-გამოწევა იყო. კასტილი ავიშვირე, არც მოხვედრია. გამოვდივარ კარებში და გამოექანა იქ, ჯერ კარები მომიბრახუნა, ღამის გადმოვვარდი იქ და ვინც იდგა იმათ დავეჯახე და იმათ შემაკავეს და მერე გამოვედი. სანამ წამოვიდოდი, ეს კაცი კიდევ იწევდა, – ამბობს სამადაშვილი.

დაპირისპირებასთან დაკავშირებით ექიმი განმარტებას არ აკეთებს. საავადმყოფოს მენეჯერი კი ამბობს, რომ პროვოკაცია პაციენტმა დაიწყო.

მისი თქმით, დაზიანებულია ინვენტარი, რაზეც შესაბამისი შეტყობინება არის პოლიციაში გაკეთებული.

ნიუს თიმი

ადვოკატი ღურწკაია ზურაბ სოლომნიშვილისთვის გირაოს ითხოვს

– დაცვის მხარე იმედს იტოვებს, რომ ზურაბ სოლომნიშვილის მიმართ არ განხორციელდება შერჩევითი მართლმსაჯულება, – ამის შესახებ პარლამენტის წევრის პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების საქმეზე ბრალდებულ ზურაბ სოლომნიშვილის ადვოკატის განცხადებაშია აღნიშნული.

მუხრან ღურწკაიას თქმით, საქმეზე ამ დრომდე არავინ არის ცნობილი დაზარალებულად, არც არავინაა დაკითხული დაზარალებულის სახით და საქმეში მტკიცებულების სახით არ დევს ფარული ჩანაწერი. ამ პირობებში შეუძლებელია სასამართლო იყოს ობიექტური და ამავე დროს პატიმრობაში დატოვოს ბრალდებული.

„2019 წლის 13 მარტს პროკურატურამ პარლამენტის წევრის პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების საქმეზე სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით გამოძიების ვადის გაგრძელების თაობაზე. აღნიშნული ვადა სასამართლოს მიერ სრულიად დაუსაბუთებლად, უსაფუძვლოდ და უკანონოდ გაგრძელდა და სასამართლო სხდომა გადაინიშნა 2019 წლის 15 მაისს, 12:00 საათზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის სხდომა ჩაინიშნა 20 მარტს, 13:00 საათზე. დაცვის მხარე აყენებს შუამდგომლობას ზურაბ სოლომნიშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების, პატიმრობის უფრო ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით, გირაოთი შეცლის თაობაზე, ვინაიდან არ არსებობს ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების, განგრძობადი პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობა.

დაცვის მხარე იმედს იტოვებს, რომ სასამართლო ამჯერად მაინც დააკმაყოფილებს დაცვის მხარის შუამდგომლობას და ზურაბ სოლომნიშვილის მიმართ არ განხორციელდება შერჩევითი მართლმსაჯულება.

როგორც მოგეხსენებათ, აღნიშნულ საქმეზე 13 ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს გირაო. საქმეზე არსებითად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქმეზე ამ დრომდე არავინ არის ცნობილი დაზარალებულად, არც არავინაა დაკითხული დაზარალებულის სახით და საქმეში მტკიცებულების სახით არ დევს ფარული ჩანაწერი. ამ პირობებში შეუძლებელია სასამართლო იყოს ობიექტური და ამავე დროს პატიმრობაში დატოვოს ბრალდებული“ – აღნიშნულია ადვოკატ მუხრან ღურწკაიას განცხადებაში.

თეთრი სახლი: ტრამპი რასისტი არაა!

მსოფლიოში რასობრივ ნიადაგზე ძალადობა გახშირდა. ახალი ზელანდიის მეჩეთში დატრიალებულმა სასაკლაომ ყველა ფეხზე დააყენა. ზოგიერთ გაზეთში გაჩნდა პუბლიკაციები, რომ ტრამპი რასისტია და თეთრი რასის უპირატესობის თეორიას იზიარებს.

თეთრმა სახლმა ამასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ ტრამპი რასისტი არასოდეს ყოფილა. აშშ-ის პრეზიდენტი ძალადობის ფაქტს გმობს და დამნაშავეთა უმკაცრეს დასჯას მოითხოვს.

ბრიტანეთში ტერაქტი მოხდა?!

ბრიტანეთის პოლიციამ 50 წლის მამაკაცი დააკავა. ის ქუჩაში რასისტულ ლოზუნგებს ყვიროდა, შემდეგ დანით 19 წლის მამაკაცს თავს დაესხა და დაჭრა.

თავდამსხმელი დაკავებულია. არსებობს ვერსია, რომ მის უკან რომელიღაც ექსტრემისტული ორგანიზაცია იდგა.

პოროშენკომ მეორე ადგილზე გადაინაცვლა

ახლოვდება 31 მარტი, როცა უკრაინა ახალ პრეზიდენტს აირჩევს.

ლიდერთა სამეული არ შეცვლილა, თუმცა თავად სამეულის შიგნით მოხდა გადაადგილებები. ვლადიმერ ზელენსკი 23%-ით ისევ ლიდერობს. პეტრო პოროშენკო 20%-ით მეორეზე გავიდა. მან უკან ჩამოიტოვა იულია ტიმოშენკო (18%) და ზელენსკის უფრო მიუახლოვდა.

პრორუსული ორიენტაციის ბოიკო მეოთხე ადგილიდან მეხუთეზე გადავიდა. მეოთხეზე „სამოქალაქო ინიციატივის“ ლიდერი ანატოლი გრიცენკოა. ბოიკოს რეიტინგმა 8%-იდან 7,7 %-მდე იკლო. მას რადიკალური პარტიის ლიდერი ოლეგ ლიაშკო მიუახლოვდა (6%).

რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, მით უფრო იძაბება ვითარება. უკრაინის მთელ ტერიტორიაზე პოროშენკოს საწინააღმდეგო მიტინგებია. ისინი ბანდერელთა შავ-წითელი დროშების თანხლებით მიმდინარეობს.

პრორუსული ძალების ყველა მცდელობა, ხელში აიღონ ინიციატივა, კრახით დასრულდა. ხარკოვში, ოდესაში, ზაპოროჟიეში ისინი სტვენით გააძევეს.

ნატომ რუსეთს მოუწოდა, დაუბრუნოს ყირიმი უკრაინას

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის ხუთი წლისთავთან დაკავშირებით ნატო განცხადებას ავრცელებს, რომელშიც რუსეთს მოუწოდებს, ყირიმი უკრაინას დაუბრუნოს.

„ჩვენ ვგმობთ რუსეთის სამხედრო ძალის ფართომასშტაბიან გაძლიერებას ყირიმში და შეშფოთებული ვართ რუსეთის გაცხადებული გეგმით, რომელიც შავი ზღვის რეგიონში რუსეთის სამხედრო ყოფნის გაძლიერებას მოიცავს“ – ნათქვამია განცხადებაში.

ალიანსი ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არ სცნობს ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში შესვლას.

„რუსეთს მოვუწოდებთ, უკრაინას ყირიმზე კონტროლი დაუბრუნოს“ – აღნიშნულია განცხადებაში.

ნატოში ასევე აცხადებენ, რომ „რუსეთთან ურთიერთობების ჩვეული რეჟიმისკენ დაბრუნება იქამდე არ მოხდება, ვიდრე რუსეთის ქმედებებში მკაფიო და კონსტრუქციული ცვლილებები არ იქნება, რაც დაადასტურებს რუსეთის მზაობას, პატივი სცეს საერთაშორისო სამართალსა და ნორმებს.

რუსული დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერმა ალექსეი ნავალნიმ განაცხადა, რომ ყირიმის ფაქტორი უკვე აღარ მუშაობს. ეკონომიკის სტაგნაციამ, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებამ, დონბასში გაჭიანურებულმა ომმა, რუსი ჯარისკაცების მასობრივმა მსხვერპლმა ხალხის უკმაყოფილება გამოიწვია.

– პუტინის რეიტინგი მკვეთრად დაეცა, – ამბობს ნავალნი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბანცხადებები

სხვადასხვა

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ევროპიდან

ძაღლებზე მონადირე ნიანგი ციხეში ჩასვეს

ავსტრალიის ხელისუფლებამ მოახერხა 600-კილოგრამიანი ნიანგის დაჭერა, რომელიც ძაღლებზე ნადირობდა.

რეპტილია დაახლოებით ერთი წელი სისხლს უშრობდა კუნძულ ბატერსტის მცხოვრებთ. ამ დროის განმავლობაში ნიანგმა 12 ძაღლი შეჭამა, ერთხელ კი მეთევზესაც დაესხა თავს. მრავალრიცხოვანი საჩივრების შემდეგ პოლიციამ ნიანგი დაიჭირა და განყოფილების საპატიმრო საკანში მოათავსა.

მოგვიანებით რეპტილია ნიანგების ფერმაში გადაიყვანეს. იქ ის 120 ჰექტარი ფართობის ტერიტორიაზე მდედრი ნიანგების გარემოცვაში იცხოვრებს. ფერმერის აზრით, ნიანგი დაახლოებით კიდევ 50 წელიწადს იცოცხლებს.

მაშველებმა ჭიდან პატარა ლეოპარდი ამოიყვანეს

ინდოეთის მახარაშტრას შტატის ქალაქ მანჩარში ადგილობრივებმა გადაარჩინეს ლეოპარდის ბოკვერი, რომელიც ჭაში იყო ჩავარდნილი.

ინციდენტი სამი დღის წინ მოხდა. ფერმერმა ჭას გვერდით ჩაუარა, როდესაც მის ფსკერზე პატარა ლეოპარდი შენიშნა და მაშინვე ცხოველთა სამაშველო სამსახურს დაუკავშირდა. შემთხვევის ადგილზე გადაუდებელი დახმარების სამსახურის თანამშრომლები მივიდნენ და პატარა მტაცებელი შვიდი მეტრი სიღრმიდან საგანგებო გალიის დახმარებით ამოიყვანეს.

პატარა ლეოპარდი გულდასმით გასინჯეს, შემდეგ კი ბუნებაში გაუშვეს.

კალიფორნიაში

სუპერმარკეტში ფოტოსესიის გამართვით სტუდენტებმა სახელი გაითქვეს

აბერდინის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტმა გოგონამ სუპერმარკეტში მოდური ფოტოსესია გამართა და ამით სახელი გაითქვა.

– ჩემს მეგობრებს ვკითხე, ფოტოსესიაში მონაწილეობა ხომ არ სურდათ. ყველამ თანხმობა განაცხადა და ჩვენ კოსტიუმები შევარჩიეთ, რომლებიც საუკეთესოდ მივიჩნიეთ, – განაცხადა ელზა პაპამ, რომლის ტელეფონითაც ფოტოსურათებია გადაღებული.

გადაღებებისთვის გოგონებმა 1990-იანი წლების სტილის კოსტიუმები შეარჩიეს: ფართოტოტებიანი შარვლები ლეოპარდის ნახატებითა და ნაქარგებით, ბეწვის ქურთუკები, ღია ფერის მაისურები და სქელმინებიანი სათვალეები.

შედეგად სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა ფოტოსურათები. მათზე „მოდელები“ დახლების ფონზე პოზირებენ, რომლებზე სხვადასხვა პროდუქტი, ალკოჰოლური სასმელები და საყოფაცხოვრებო ქიმიაა განთავსებული. ასევე გამოქვეყნდა სურათები, რომლებიც ქუჩაში მაღაზიისა და ურიკების ფონზეა გადაღებული.

ელზა პაპამ აღიარა, რომ გადაღებების შემდეგ დედამ ფოტოსესიისთვის შეაქო და ურჩია, რომ ისინი სუპერმარკეტის თანამშრომლებისთვის ეჩვენებინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ლინ ჯონსი: „ქართველებს უნიკალური გუნდი ჰყავთ“

ევროპულ რაგბიში ინგლისი, ირლანდია, უელსი, საფრანგეთი და შოტლანდია სხვა დანარჩენებზე მთელი თავით მაღლა დგანან. ალბათ იტალიაც, რადგან ჯერ ვერაფერს ვუხერხებთ. აი, დანარჩენებს კი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავთ და ეს საქართველოს ნაკრებია.

რაგბი ევროპის ჩემპიონატის დაარსებიდან დღემდე, ბორჯღალოსნებმა ტიტული მე-11-ედ შემართეს. ჩემპიონი სულ 17-ჯერ გამოვლინდა (5-ჯერ თასი რუმინეთმა და ერთხელ პორტუგალიამ მოიგო). აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო 9 გათამაშებაში 8-ჯერ გამარჯვებული საქართველო გახდა და აქედან 6-ჯერ სლემით!

ტიტული წელს გაცილებით ადრიანად მოვიდა – 4 ტურის შემდეგ ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. თითქოს საქართველოს ნაკრები მოტივაციის გარეშე უნდა ჩასულიყო კრასნოდარში, მაგრამ ასე არ მოხდა – რუსეთი საქართველოსთვის პრინციპული ოპონენტია.

და მოიგეს კიდეც... ერთ-ერთი მოკლემეტრაჟიანი ფილმის გმირის არ იყოს, გაგიჭირდებოდათ...

ნამატჩევს შეხვედრა მწვრთნელებმა შეაფასეს.

ლინ ჯონსი, რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

– კითხვაზე, რატომ ვერ გავიმარჯვეთ დღეს, ვფიქრობ, საკმაოდ ცხადი პასუხი არსებობს. ძალიან კარგად დავიწყეთ, თუმცა, პირველ 20 წუთში ქულების მოპოვების შესაძლებლობები ვერ გამოვიყენეთ. შემდეგ კი, შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე ლელო დაგვიდეს და ძალიან რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით. რა თქმა უნდა, უამინდობამ პრობლემები ორივე გუნდს შეუქმნა, თუმცა მეორე ტაიმში საქართველო უკეთ აკონტროლებდა ბურთს და ჩვენს ნახევარზე გადმოდიოდა. მატჩში კორექტივების შეტანა რთული იყო. ვულოცავ ჩვენს მეტოქეს ევროპის ჩემპიონატის მოგებას, მით უმეტეს, რომ მთელი ტურნირის განმავლობაში მათ მხოლოდ 2 ლელო გაუშვეს. ეს ძალიან კარგი შედეგია. ყველა მეტოქეს აქვს თავისი ძლიერი მხარეები, მაგრამ ქართველებს უნიკალური გუნდი ჰყავთ.

მათი ლელოები შერკინებებიდან მოდიოდა და ჩვენ ვხედავთ, რომ გაწეული დიდი სამუშაოს მიუხედავად, კიდევ უფრო მეტი მუშაობა გვმართებს. ზაფხულში ურუგვაიში დაგეგმილ ერთა თასში მივიღებთ მონაწილეობას. ჩვენთვის ეს კარგი გამოცდილება იქნება, განვითარება უნდა გავაგრძელოთ. პროცესი დაწყებულია და უნდა გაგრძელდეს.

მილთონ ჰეიგი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

– ყოველ ჯერზე, როდესაც რუსეთში ჩავდივართ, იქნება ეს სოჭი თუ კრასნოდარი, რთული თამაშები გვაქვს. გვესმის, რაოდენ მნიშვნელოვანია თითოეული ასეთი მატჩი არა მხოლოდ ჩვენი გუნდისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის. ჩვენ გააზრებული გვაქვს, რომ ვალდებულები ვართ, მოვიგოთ. ასე რომ, რუსეთთან გამარჯვების მიღწევა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ძალიან ცუდ ამინდში ვითამაშეთ, თუმცა აღსანიშნავია, რომ ლინ ჯონსის ხელში რუსეთის ნაკრები იმაზე უკეთ ათამაშდა, ვიდრე ეს 2-3 წლის წინ იყო.

რაც შეეხება ჩვენს თამაშს, პირველი ტაიმი არცთუ ისე კარგად ჩავატარეთ, იმიტომ, რომ ვნერვიულობდით, გვესმოდა რა მატჩის მნიშვნელობა. შესვენებაზე ბიჭები დავამშვიდე. ანგარიშით საკმაოდ კმაყოფილი ვარ.

დედაქალაქური დერბი დინამომ მოიგო

ლოკომოტივი-დინამო (თბ) 0:4

თბილისი. მიხეილ მესხი 2

0:1 კუტალია (38პ), 0:2 ზარია (58), 0:3 შენგელია (79პ), 0:4 ჭანტურია (90სკ)

ლოკომოტივი: ბულისკერია, გურეშიძე, ჭანტურია, შონია, გვალია (დავითაშვილი 63), ჯიქია (კობახიძე 55), ძებნიაური, კირკიტაძე, სიხარულიძე, არდაზიშვილი (კიკაბიძე 84), უბილავა

დინამო: პერალესი, რუხაია, მონხილი, მეჯუში, იაშვილი, პაპავა, ივანისენია, შენგელია (როხანო 80), შულაია (კარბია 50), ზარია (ქარდავა 68), კუტალია

გაძევება: ძებნიაური (37)

დედაქალაქური დერბი ვერ გამოდგა საინტერესო. მოედანზე მხოლოდ ერთ გუნდს გამოსდიოდა ყველაფერი და დინამომ დამსახურებულად მოიგო დიდი ანგარიშით.

ძლიერი ქარის მიუხედავად, თამაში ორივე გუნდმა მაღალ ტემპში დაიწყო. პირველი სახიფათო მომენტი კი სტუმრებმა მე-10 წუთზე შექმნეს: საჯარიმოს მისადგომებიდან აკაკი შულაიას დარტყმული მცირედით აცდა მასპინძელთა კარს. ცოტა ხანში დინამოელთა კიდევ 2 მწვავე შეტევა ვიხილეთ – ჯერ დმიტრო ივანისენიას პასის შემდეგ ლევან შენგელიას დარტყმულს ბოლო წამს მცველებმა დაუფარეს, მომდევნო შეტევაში კი გიორგი ზარია ტექნიკური დარტყმით გზავნიდა ბურთს ლოკომოტივის კარში, თუმცა დემეტრე ბულისკერიამ კუთხურზე მოიგერია. საპასუხოდ ტაიმის შუაწელში ირაკლი სიხარულიძემ გაისროლა დინამოელთა კარისკენ, ბურთს ხოსე პერალესი ადგილზე დახვდა.

37-ე წუთზე თბილისელთა მორიგ შეტევას თორნიკე ძებნიაურის მიერ ხელით თამაში მოჰყვა, რაც მსაჯს არ გამორჩენია, ფეხბურთელს წითელი ბარათი უჩვენა და თერთმეტმეტრიანი ნიშნულისკენ მიუთითა. პენალტი ზუსტად ლევან კუტალიამ დაარტყა და ანგარიშიც გაიხსნა.

პირველ ტაიმში მეტი აღარაფერი შეცვლილა.

მეორე ნახევარში უპირატესობა მთლიანად სტუმრებმა მოიპოვეს და 58-ე წუთზე გიორგი ზარიამ სოლო რეიდისა და ცრუმოძრაობების შემდეგ მეორედ აიღო ლოკომოტივის კარი. აღსანიშნავია ასევე კარბია-ზარია-შენგელიას კომბინაცია, რომელიც ოდნავ არაზუსტი დარტყმით დასრულდა. შემდეგ ბაქარ ქარდავა ამწვავებდა თამაშს და ორჯერ მიჯრით საკმაოდ სახიფათოდ დაარტყა, ბურთი ორივე შემთხვევაში მცირედით აცდა სამიზნეს.

79-ე წუთზე კუტალია შეტევის მარჯვენა ფრთიდან შეიჭრა საჯარიმოში, მცველს ბურთი თავზე გადააგტარა, ამ უკანასკნელმა კი ხელით ითამაშა და ლოკომოტივის კარში პენალტი დაინიშნა. თერთმეტმეტრიანი ამჯერად შენგელიამ შეასრულა უნაკლოდ და დინამო 3 ბურთით დაწინაურდა.

შეხვედრის ბოლოს დმიტრო ივანისენიას ჩაწოდებული ბურთი ნიკა ჭანტურიამ საკუთარ კარში ჩაჭრა და მატჩიც დასრულდა.

სიონი-ვიტ ჯორჯია 1:0

ბოლნისი. თამაზ სტეფანია

1:0 სიხარულია (87)

სიონი: ზარქუა, თომაშვილი, ტვილდიანი, თარხნიშვილი, ხმალაძე, უგულავა (მაქაცარია 62), დ.კირკიტაძე (ქიქავა 90), ისიანი, აფაქიძე, სუხიაშვილი, რაჟამაშვილი (სიხარულია 78)

ვიტ ჯორჯია: შეროზია, გაფრინდაშვილი, გეთიაშვილი, ჩაკვეტაძე, მოსიაშვილი (ვასაძე 62), ღირდალაძე, კურდღელაშვილი (ღუდუშაური 57), მუსელიანი (საჯაია 75), კიკნაველიძე, ჩიტიშვილი, კაკაშვილი

გაძევება: ღირდალაძე (90)

მატჩი ისე მიმდინარეობდა, რომ ნათელი იყო, ყველაფერს ერთი ბურთი გადაწყვეტდა. ასეც მოხდა: 87-ე წუთზე ანზორ სუხიაშვილის პასი გოლად შეცვლაზე შესულმა ზვიად სიხარულიამ აქცია და ბოლნისელებს 3 ქულა მოუტანა.

აღსანიშნავია, რომ მატჩის 90-ე წუთზე მასპინძელთა მცველ ნიკოლოზ აფაქიძესა და სტუმართა ფორვარდ ზურაბ ღირდალაძეს შორის შეხლა-შემოხლა მოხდა, რის გამოც მატჩის მთავარმა მსაჯმა არსენ ნონიკაშვილმა აფაქიძეს ყვითელი, ღირდალაძეს კი წითელი ბარათი უჩვენა.

სატურნირო ცხრილი:

1.საბურთალო	4	4	0	0	9-2	12
2.სიონი	4	2	1	1	5-4	7
3.დინამო (თბ)	4	2	0	2	7-3	6
4.ლოკომოტივი	4	2	0	2	7-8	6
5.დინამო (ბთ)	4	2	0	2	2-3	6
6.ტორპედო	4	2	0	2	5-7	6
7.ვიტ ჯორჯია	4	1	2	1	2-2	5
8.ჩიხურა	4	0	3	1	3-5	3
9.დილა	4	0	2	2	1-3	2
10.რუსთავი	4	0	2	2	3-7	2

ბითაძისა და ბურჯანაძის სუპერმატჩები

ბრუკლინთან და მაიამისთან 2 პრინციპული მატჩის წაგების შემდეგ, ზაზა ფაჩულიას დეტროიტმა ჯერ ლეიკერსი დაამარცხა, შემდეგ კი ტორონტოსაც მოუგო და აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-6 ადგილი დაიბრუნა. პისტონსმა მეორე ადგილზე მყოფი რეპტორსი უაღრესად დაძაბულ მატჩში, 110:107 დაამარცხა.

ზაზა ფაჩულიამ კი სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. 35 წლის ქართველმა ცენტრმა ამჯერად 13 წუთი ითამაშა და ამ დროში 11 ქულის ჩაგდება მოახერხა, რაც მისთვის ამ სეზონში სარეკორდო შედეგია. ზაზამ ექვსიდან 4 ორქულიანი ჩააგდო და სამივე საჯარიმო ზუსტად ისროლა. გარდა ამისა, მის აქტივში 3 მოხსნა და 1 პასიც იყო.

69 მატჩის შემდეგ, დეტროიტი 36 მოგებითა და 33 მარცხით მე-6 ადგილზეა. ფაჩულიას გუნდი მომდევნო მატჩს სტუმრად, კლივლენდ კავალიერსთან გამართავს.

გოგა ბითაძემ ადრიატიკის ლიგის რეგულარული ჩემპიონატი მაჟორულ ნოტზე დახურა. ბოლო ტურის მატჩში 19 წლის ქართველის ბუდუჩნოსტმა პოდგორიცეში ხორვატიულ ციბონას უმასპინძლა და ბითაძის ლიდერობით 91:82 დაამარცხა.

ქართველი ცენტრი მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახდა და მვპ-ის ტიტულიც დაიმსახურა.

ბითაძე მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 27 წუთში 9-დან

გაგრძელება მე-10 გვერდზე

შედეგები

17 მარტი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ფულემი-ლივერპული 1:2
ევერტონი-ჩელსი 2:0

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	31	23	7	1	70-18	76
2.სიტი	30	24	2	4	79-21	74
3.ტოტენჰემი	30	20	1	9	57-32	61
4.არსენალი	30	18	6	6	63-39	60
5.მანჩესტერი	30	17	7	6	58-40	58
6.ჩელსი	30	17	6	7	50-33	57
7.ვულვზი	30	12	8	10	38-36	44
8.უოტფორდი	30	12	7	11	42-44	43
9.ვესტ ჰემი	31	12	6	13	41-46	42
10.ლესტერი	31	12	5	14	40-43	41
11.ევერტონი	31	11	7	13	43-42	40
12.ბორნმუთი	31	11	5	15	43-56	38
13.ნიუკასლი	31	9	8	14	31-40	35
14.კრ.პალასი	30	9	6	15	36-41	33
15.ბრაიტონი	29	9	6	14	32-42	33
16.საუთჰემპტონი	30	7	9	14	34-50	30
17.ბარნლი	31	8	6	17	35-59	30
18.კარდიფი	30	8	4	18	27-57	28
19.ფულემი	31	4	5	22	29-70	17
20.ჰადერსფილდი	31	3	5	23	18-57	14

ინგლისი. ასოციაციის თასი

მილუოლი-ბრაიტონი ..... 2:2(4:5პ)

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ეიბარი-ვალიდოლიდი 1:2
ესპანიოლი-სევილია 0:1
ვალენსია-ხეტაფე 0:0
ვილიარელი-რაიო 3:1
ბეტისი-ბარსელონა 1:4

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	28	20	6	2	73-27	66
2.ატლეტიკო	28	16	8	4	39-19	56
3.რეალი	28	17	3	8	49-32	54
4.ხეტაფე	28	12	10	6	36-24	46
5.ალავესი	28	12	8	8	31-31	44
6.სევილია	28	12	7	9	47-36	43
7.ვალენსია	28	8	16	4	30-23	40
8.ბეტისი	28	11	6	11	32-36	39
9.ბილბაო	28	8	13	7	28-31	37
10.სოსიედადი	28	9	9	10	33-33	36
11.ეიბარი	28	8	11	9	36-38	35
12.ხირონა	28	8	10	10	31-37	34
13.ესპანიოლი	28	9	7	12	32-41	34
14.ლეგანესი	28	8	9	11	27-34	33
15.ლევანტე	28	8	7	13	38-49	31
16.ვალიდოლიდი	28	7	8	13	23-39	29
17.ვილიარეალი	28	6	11	11	32-36	29
18.სელტა	28	6	7	15	36-47	25
19.რაიო	28	6	5	17	30-51	23
20.უესკა	28	5	7	16	28-47	22

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ოვიედო-ხიმნასტიკი 2:0
კორდობა-ხიხონი 1:2
ალმერია-გრანადა 0:0
ოსასუნა-მაჰადაონდა 3:0
ლას პალმასი-მალიორკა 1:2

გერმანია ბუნდესლიგა

ლევერკუზენი-ვერდერი 1:3
აინტრახტი-ნიურნბერგი 1:0
ბაიერნი-მაინცი 6:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	26	19	3	4	68-27	60
2.დორტმუნდი	26	18	6	2	64-30	60
3.ლაიპციგი	26	14	7	5	44-20	49
4.გლადბახი	26	14	5	7	45-31	47
5.აინტრახტი	26	13	7	6	51-30	46
6.ლევერკუზენი	26	13	3	10	47-40	42
7.ვოლფსბურგი	26	12	6	8	44-39	42
8.ვერდერი	26	10	9	7	46-38	39
9.ჰოფენჰაიმი	26	9	11	6	50-38	38
10.ჰერტა	26	9	8	9	40-39	35
11.ფრაიბურგი	26	7	10	9	37-42	31
12.ფორტუნა	26	9	4	13	33-50	31
13.მაინცი	26	8	6	12	27-45	30
14.აუგსბურგი	26	6	7	13	37-47	25
15.შალკე	26	6	5	15	27-44	23
16.შტუტგარტი	26	5	5	16	26-56	20
17.ჰანოვერი	26	3	5	18	24-61	14
18.ნიურნბერგი	26	2	7	17	19-52	13

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

არმინია-ბოხუმი 3:1
პადერბორნი-ინგოლშტადი 3:1

იტალია. სერია ა

ჯენოა-იუვენტუსი 2:0
ატალანტა-კიევო 1:1
ლაციო-პარმა 4:1
ემპოლი-ფროზინონე 2:1
ნაპოლი-უდინეზე 4:2
მილანი-ინტერი 2:3

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	28	24	3	1	59-19	75
2.ნაპოლი	28	18	6	4	52-23	60
3.ინტერი	28	16	5	7	43-24	53
4.მილანი	28	14	9	5	43-26	51
5.რომა	28	13	8	7	52-39	47
6.ატალანტა	28	13	6	9	57-39	45
7.ლაციო	27	13	6	8	41-29	45
8.ტორინო	28	11	11	6	37-26	44
9.სამპდორია	28	12	6	10	49-38	42
10.ფიორენტინა	28	8	13	7	43-35	37
11.ჯენოა	28	8	9	11	34-42	33
12.პარმა	28	9	6	13	30-44	33
13.სასუოლო	28	7	11	10	39-47	32
14.კალიარი	28	7	9	12	25-40	30
15.სპალი	28	6	8	14	25-42	26
16.უდინეზე	27	6	7	14	24-40	25
17.ემპოლი	28	6	7	15	36-54	25
18.ბოლონია	28	5	9	14	25-42	24
19.ფროზინონე	28	3	8	17	21-53	17
20.კიევო	28	1	11	16	21-54	11

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

ვენეცია-კრემონეზე 1:1
პალერმო-კარპი 4:1
კროტონე-ლეჩე 2:2

საფრანგეთი 1 ლიგა

ლიონი-მონპელიე 3:2
რეიმსი-ნანტი 1:0
ბორდო-რენი 1:1
პსჟ-მარსელი 3:1

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	28	25	2	1	86-16	77
2.ლილი	29	17	6	6	45-24	57
3.ლიონი	29	15	8	6	50-35	53
4.მარსელი	29	14	5	10	45-38	47
5.სტ.ეტიენი	29	13	7	9	41-34	46
6.რენმსი	29	11	13	5	31-27	46
7.მონპელიე	29	10	12	7	40-34	42
8.რენი	28	11	8	9	39-36	41
9.ნიცა	29	11	8	10	21-29	41
10.სტრასბური	29	9	12	8	45-35	39
11.ნიმი	28	10	7	11	40-42	37
12.ანჟე	29	8	12	9	33-33	36
13.ბორდო	29	8	10	11	28-31	34
14.ტულუზა	29	7	11	11	28-43	32
15.ნანტი	28	8	7	13	31-35	31
16.მონაკო	29	7	9	13	30-44	30
17.ამიენი	29	8	5	16	24-43	29
18.გენგამი	29	5	7	17	19-51	22
19.დიჟონი	29	5	6	18	21-46	21
20.კაენი	29	3	11	15	23-44	20

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

ვენლო-პსვ 0:1
ალკმაარი-აიაქსი 1:0
გრონინგენი-დენ ჰააგი 1:0
ექსელსიორი-ზვოლე 0:2

ჰოხტუგალია. პრიმეირა ლიგა

ავიში-შავიში 0:1
ნასიონალი-რიუ ავე 0:1
მორეირენშე-ბენფიკა 0:4
ტონდელა-ფეირენშე 1:1

ხუსეთი. პრემიერლიგა

უფა-ახმატი 0:1
ლოკომოტივი-კრასნოდარი 1:0
სპარტაკი-ზენიტი 1:1

შვეიცარია. სუპერლიგა

ბაზელი-იანგ ბოიზი 2:2
თუნი-ლუცერნი 1:1
ციურიხი-ქსამაქსი 2:1

შოტლანდია. პრემიერლიგა

დენდი-სელტიკი 0:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ინსბრუკი-ზალცბურგი 0:2
ვოლფსბერგერი-ადმირა 2:2
ალტახი-ლინცერი 1:2
რაპიდი-ჰარტბერგი 2:2
სტ.პოლენი-მატერსბურგი 0:1
შტურმი-აუსტრია 1:0

ბელგია. ა დივიზიონი

ბრიუგე-მუსკრონი 1:2
ვარეგემი-გენკი 3:3
კორტრაიკი-ანტვერპენი 2:0
ლოკერენი-სერკლი 3:1
ოსტენდე-ანდერლეხტი 0:2
სტ.ტრუიდენი-გენტი 0:2
სტანდარდი-ბევერენი 4:3
შარლერუა-ეუპენი 1:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

ოფი-ლევადიაკოსი 2:0
ატრომიტოსი-აეკი 0:1
პანიონიოსი-ქსანთი 1:0

თურქეთი. სუპერლიგა

მალათია-ანკარაგიუჯიუ 3:1
ქაისერი-ბაშაქშეჰირი 1:1
ბურსა-გალათასარაი 2:3

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბოჰემიანსი 1905-ოპავა 0:0
პრჟიბრჟამი-სლავია 0:2

პოლონეთი. ექსტრაკლასა

ზაგლებიე-არკა 0:0
პიასტი-ლეგნიცა 2:1
ვისლა-კრაკოვია 3:2

უკრაინა. პრემიერლიგა

დესნა-ლვოვი 0:1
კარპატი-მარიუპოლი 1:1
ოლიმპიკი-დინამო 1:2

დანია. სუპერლიგა

ვენსიუსელი-ნორდსიელანდი 0:1
მიდტიულანდი-სონდერიისკე 2:1
ოდენსე-რანდერსი 1:0
ოლბორგი-ორხუსი 3:1
კოპენჰაგენი-ჰობრო 3:1
ჰორსენსი-ბრონდბიუ 1:3
ესბიერგი-ვეიერლე 2:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ბითაძისა და ბურჯანაძის სუპერმატჩები

დასაწყისი მე-9 გვერდზე

7 ორქულიანი, ერთი სამქულიანი და 8-დან 7 საჯარიმო ჩააგდო. გოგამ 24 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარებაც მოაგროვა. შედეგად მისი სარგებლიანობის კოეფიციენტი 28-ს გაუტოლდა და ის მთლიანად ტურშიც მხოლოდ იგოკეას წევრ დანილო ანჯუშიჩს (30) ჩამორჩა. ცნობისთვის, ბითაძე ადრიატიკის წინა ტურის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა.

ბუდუჩნოსტმა რეგულარული ჩემპიონატი 16 მოგებითა და 6 მარცხით დაასრულა და სატურნირო ცხრილში მე-3 ადგილი დაიკავა. პოდგორიცელები ადრიატიკის ლიგის ნახევარფინალში ზაგრებულ ცედევიტას ეთამაშებიან, ფინალის მე-2 საგზურისთვის კი სერბული გრანდები ცრვენა ზვეზდა და პარტიზანი იბრძოლებენ.

ფლეი ოფი 2 მოგებამდეა და 23 მარტიდან დაიწყება.

გიორგი შერმადინის უნიკახამ მორიგი მატჩი წააგო. ესპანეთის ჩემპიონატის 23-ე ტურში მალაგელები სტუმრად შეხვდნენ გრან კანარიას და 76:85 დამარცხდნენ.

შერმადინი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, თუმცა პარკეტზე 19 წუთი მაინც გაატარა. ხსენებულ დროში ქართველმა ცენტრმა 10 ქულა და 2 მოხსნა მიითვალა. გიორგიმ 7-დან 4 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. შერმადინის მარგი ქმედების კოეფიციენტმა კი 10 შეადგინა.

უნიკახას 23 ტურის თავზე 14 მოგების წილ 9 წაგება აქვს და მე-6 საფეხურზე იმყოფება. მომდევნო ტურში კი ობრადოიროს უმასპინძლებს.

ესპანეთშივე ფანტასტიკური მატჩი ჩაატარა ბექა ბურჯანაძემ. საქართველოს ნაკებისს წევრმა ზეშედეგიანი მატჩი ითამაშა და ბოლო ადგილზე მყოფ თავის გუნდს ხომ გაამარჯვებინა, პლუს, პირადი რეკორდიც დაამყარა. აქამდე ბურჯანაძის საუკეთესო შედეგად 20 ქულა ითვლებოდა, რომელიც ქართველმა ფორვარდმა 2016-17 წლების სეზონში მოაგროვა, როცა ის ანდორას ღირსებას იცავდა. ამჯერად კი, სან სებასტიანის გიპუზკოას წევრმა ბრეგანის წინააღმდეგ მატჩში 30 ქულა მიითვალა და თავის გუნდს 100:65 მოაგებინა.

ბურჯანაძე შეუჩერებელი გახლდათ. ქართველმა ფორვარმა 10-დან 8 ორქულიანი, 5-დან 3 სამიანი და 5-დან 5 საჯარიო ჩააგო. 30 ქულასთან ერთად ბექამ 6 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა ისე მიითვალა, მოედანზე ყოფნის 27 წუთში ბურთიც არ დაუკარგავს. ბურჯანაძის სარგებლიანობის ინდექსმა 37 შეადგინა და დიდი აღბათობით 23-ე ტურის საუკეთესო მოთამაშე გახდება.

მოგების მიუხედავად, გიპუზკოა ისევ ბოლო ადგილზე რჩება. სან სებასტიანურ გუნდს 5 მოგება და 18 მარცხი აქვს. შემდეგი ტურის მატჩს ბურჯანაძის გუნდი კუნძულ ტენერიფეზე, იბეროსტართან გამართავს.

თად მაკფადენი ესპანეთის ჩემპიონატს რიხიანად დაუბრუნდა. ახალი გუნდის შემადგენლობაში დებიუტი როგორც მისთვის, ისე ხუვენტუდისთვის წარმატებული გამოდგა. საქართველოს ეროვნული ნაკრების ამერიკელმა უკანახაზელმა ობრადორიოს 17 ქულა ჩაუგდო და ხუვენტუდს გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა – 84:77.

მაკფადენი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და მოედანზე 25 წუთი გაატარა. ქართულპასპორტიანმა ამერიკელს ახლო და საშუალო მანძილებიდან არ შეუტია. მაკფადენმა 6-დან 5 სამქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო და 17 ქულა მოაგროვა. ამასთან, 3 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა ჰქონდა. შედეგად, მისმა სარგებლიანობის ინდექსმა 25 შეადგინა, რაც ხუვენტუდის შემადგენლობაში საუკეთესო შედეგი გახლდათ.

ამ მოგებით ხუვენტუდმა ცხრილში პოზიცია გაიმყარა და 14 მოგება-9 წაგებით ვალენსიასა და უნიკახასთან ერთად 4-6 ადგილებს იყოფს. შემდეგ ტურში ბადალონელები უშუალო კონკურენტ ვალენსიას ესტუმრებიან.

ტიტებმა ბათუმში მოიგეს

ბათუმი-ტიტები 76:86
(18:21, 18:26, 21:20, 19:19)

ერთმანეთში პირისპირ ცხრილის ქვედა ნახევარში მყოფი მეზობლები წარდგნენ – გასულ 12 ტურში 4-4 გამარჯვების მიმთვლელი გუნდები. ცხადია, სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე, ეს გუნდები სუპერლიგაში დასარჩენად იბრძვიან. შეგახსენებთ, რომ ბოლო ადგილზე გასული პირდაპირ ა ლიგაში დაქვეითდება, ხოლო ბოლოსწინა – მეცხრეადგილოსანი ა ლიგის ფინალისტთან საკვალიფიკაციო რაუნდს ითამაშებს და წარმატების შემთხვევაში სუპერლიგაში დარჩება.

აქედან გამომდინარე, იოლი მისახვედრია, თუ რამდენად მნიშვნელოვანი გახლდათ ამ მატჩის შედეგი ორივე გუნდისთვის. დამარცხებულს საქმე გვარიანად უმრუდდებოდა, გამარჯვებული კი სუპერლიგაში დასარჩენად მოზრდილ ნაბიჯს დგამდა.

მატჩი მოიგო ტიტებმა და ზემონახსენები ბონუსიც მიიღო. ლაშა გამყრელიძის გაწვრთნილი გუნდი უფრო მობილიზებულად, მეტად კონცენტრირებულად გამოიყურებოდა და შეხვედრაც ფაქტობრივად ჩავარდნის გარეშე ჩაატარა. პირველი პერიოდის 21:18 მოგების შემდეგ თბილისურმა კლუბმა მეტოქეს მთავარი დარტყმა მიაყენა და გუნდური თამაშის წყალობით მეორე ათწუთეული 26:18 მოიგო.

დიდ შესვენებაზე ტიტები 11-ქულიანი ლიდერობით გავიდა, რაც დამშვიდების საშუალებას არ იძლეოდა, თუმცა გამყრელიძის გუნდმა სტაბილური თამაში მეორე ნახევარშიც განაგრძო და შეხვედრა ისე ჩაამთავრა, ზედმეტი გართულება არ შეხვედრია. ტიტებმა საბოლოოდ 10 ქულით იმარჯვა და მე-7 ადგილზე გამაგრდა.

გამარჯვებულებს გიორგი შარაბიძემ ულიდერა, რომელმაც 19 ქულა და 13 მოხსნა მიითვალა. ორმაგი დუბლით გამოირჩა კაშიმ რენსომიც – 19 ქულა, 10 პასი. ჟოელ ალმეიდამ შეხვედრა 15 ქულით დაასრულა. ლუკ მეიერმა 14 ქულა მოაგროვა, ილია ლონდარიძემ – 13. ბათუმელთაგან 20 ქულით, 8 მოხსნით და 8 პასით საუკეთესო იყო კეისი შეპარდი. 24 ქულა სპენსერ კოლინსის ანგარიშზეა.

სატურნირო ცხრილი:

1.ქუთაისი	13	11	2	1087:1006	24
2.მგზავრები	13	8	5	1059:984	21
3.დინამო	13	8	5	967:940	21
4.დელტა	13	8	5	1013:926	21
5.თსუ-ჰიუნდაი	13	8	5	1049:1017	21
6.ოლიმპი	13	7	6	1047:997	20
7.ტიტები	13	5	8	1013:1059	18
8.კაკტუსი	13	4	9	1008:1121	17
9.ბათუმი	13	4	9	989:1070	17
10.რუსთავი	13	2	11	936:1048	15

მოამზადა მისეულ ჟორჟოლიანმა

გედი ტბაში მობანავე მამაკაცს თავს დაესხა

უკრაინის ქალაქ ხერსონში გედი ტბაში მობანავე მამაკაცს თავს დაესხა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი იანვრის ბოლოს მოხდა. უცნობი მამაკაცი წყალში შევიდა და რამდენჯერმე ჩაყვინთა. ამ დროს მასთან ზურგის მხრიდან აგრესიულად განწყობილი გედი მიცურდა და კორტნა დაუწყო. მამაკაცს გაეცინა და მოკრივის პოზა მიიღო, შემდეგ კი მუშტებს ისე იქნევდა, რომ ფრინველს არ შეხებია. ვიდეოს ბოლო კადრებში მამაკაცი წყლიდან ფრთხილად ამოდის.

ერთ-ერთი ვერსიით, გედის ასეთი აგრესია შეწყვილების პერიოდში საკუთარი პარტნიორის დაცვის სურვილმა განაპირობა.

ინდოელმა პირი ცოცხალი ფუტკრებით ამოივსო

ინდოეთის დასავლეთ ბენგალიის შტატში გარეული ფუტკრის თაფლის შემგროვებელმა სუკ მაჰამად დალალმა პირი ცოცხალი ფუტკრების ამოივსო.

ვიდეოზე ჩანს, რომ ყოველგვარი დამცავი კოსტიუმის გარეშე მყოფი 32 წლის დალალი თავს ფუტკრებით სავსე ფიჭაში გაკეთებულ ხვრელში ყოფს, შემდეგ შიშველი ხელებით იყვანს ცოცხალ მწერებს და პირში ისვამს, შემდეგ კიდევ ფუტკრების მორიგი პარტია აჰყავს ხელში და მათაც პირში იტენის. შემდგომ კადრებში ინდოელი კამერის წინ დგას, მის სახეზე ფუტკრები დაცოცავენ, შემდეგ კი ფუტკრებს პირიდან გამოაფურთხებს და თავის ჩვეულ სამუშაოს გააგრძელებს.

დალალი ამტკიცებს, რომ 16 წლის მუშაობის განმავლობაში მას ფუტკრის შხამის მიმართ იმუნიტეტი გამოუმუშავდა. სანამ ის თაფლის შემგროვებელი გახდებოდა, ქალაქ კალკუტაში ექიმის თანაშემწედ მუშაობდა.

ჯენიფერ ლოპესის საქმრო ღალატშია ეჭვმიტანილი

ბეისბოლისტ ალექს როდრიგესის კოლეგა ხოსე კანსეკომ განაცხადა, რომ სპორტსმენი თავის საცოლე ჯენიფერ ლოპესს ღალატობს.

კანსეკოს მტკიცებით, როდრიგესმა რომანი მის ყოფილ მეუღლე ჯესიკასთან გააბა. მან ასევე დაამატა, რომ ჯენიფერმა თავისი საქმროს ღალატის შესახებ არაფერი იცის.

შეგახსენებთ, რომ არც ისე დიდი ხნის წინ ჯენიფერ ლოპესმა და ალექს როდრიგესმა ნიშნობის თაობაზე განცხადება გააკეთეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

19 მარტისთვის

ფერძი – დათრგუნავთ შიშსა და ეჭვებს. შესაძლოა, საქმიანი და თქვენთვის ხელსაყრელი წინადადება მიიღოთ. **კურო** – ნუ იქნებით მეტისმეტად კატეგორიული. წინდაუხედაობის გამო, შესაძლოა, დიდი პრობლემები შეგექმნათ. **ტყუპები** – ილუზიებსა და ცრუ დაპირებებს ნუ აჰყვებით. აჩქარება საქმეს მხოლოდ ავნებს. **კირჩხიბი** – ნურავის მიენდობით. დიდია მოტყუების ალბათობა. დაკავდით სპორტით. **ლომი** – შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ქალწული** – სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მძიმე წუთებში დახმარება მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს სთხოვეთ. **სასწორი** – გადით ქალაქგარეთ, ივარჯიშეთ. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საღამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **ღრიანკალი** – საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. მშვიდი დღეა. **მშვილდოსანი** – გეგმები გულმოდგინედ შეიმუშავეთ. სანამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ, კარგად დაფიქრდით. **თხის რქა** –

სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. დაწყებული საქმის დამთავრება გაგიჭირდებათ, თუმცა სასურველ მიზანს მაინც მიაღწევთ. **მერწყული** – კომერციული ოპერაციებისათვის კეთილისმყოფელი დღეა. კოლექტიური მუშაობა შემოსავლის გაზრდის გარანტიაა. **თევზები** – ნაყოფიერ მუშაობაში ხელს შურიანები და არაკეთილმოსურნეები შეგიშლიან. ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელოა.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. უკრაინის ფეხბურთელთა გუნდი; 2. ეგვიპტის დედაქალაქი; 3. გემის წყალქვეშა ნაწილის სარემონტო ნაგებობა; 5. დიდი კაშკაშა მეტეორი; 6. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა; 7. ორცოლიანობა ან ორქმრიანობა; 11. ინდიელთა ტომის ბელადი; 13. სამთო-სათხილამურო ცენტრი სლოვენიაში; 14. გერმანული ქიმიურ-სამრეწველო კომპანია; 15. სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანო; 16. ბუნებაში საორიენტაციო ხელსაწყო; 17. უმაღლესი ხარისხის ბროლი; 19. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 20. მოხალული ფქვილისგულიანი ნამცხვარი.

თარაზულად: 1. ცხვრის საკრეჭი დიდი მაკრატელი; 4. წყლის საქაჩი მექანიზმი; 8. პერიოდულად შრობად მდინარეთა სახელწოდება ავსტრალიაში; 9. ქართული სპორტული გაზეთი; 10. ხელოვნური თმა; 12. რომის, არყის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 14. შტატი ბრაზილიაში; 15. ქალაქი ესპანეთში, სადაც ტარდება კორიდის სეზონის გახსნის ცერემონიალი; 16. სამკურნალო პროცედურათა დასრულებული ციკლი; 18. „ხევისბერი გოჩას“ პერსონაჟი; 21. შოკოლადის ხე; 22. ხმის სახშობი მოწყობილობა ჩასაბერ მუსიკალურ ინსტრუმენტებში; 23. ბერძნული ცეკვა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ფაიფური; 3. ირბისი; 8. კიმონო; 9. სარი; 14. ახალი; 15. ლაქშმი; 17. ნალი; 20. კრისტი; 22. ლასტი; 23. ვარძია; 25. ასი; 26. ენდი; 27. კაპა; 28. ნატურანი.

შვეულად: 1. ფასი; 2. ინა; 3. ისტერიკა; 4. სუ; 5. მინიმალი; 6. პონი; 7. კომიქსი; 10. რახი; 11. ოფიციანტი; 12. მინარეთი; 13. ვალი; 16. პესეტა; 18. ესკადრა; 19. ავიეტი; 21. ტიარა; 24. იანკი.

სკანვორდის პასუხები:

1. კია; 2. სუმატრა; 3. კონიაკი; 4. ხალტურა; 5. პილოტი; 6. ადამი; 7. პატრიოტი; 8. აპოხტი; 9. რე; 10. ანტალია; 11. იო; 12. რიგი; 13. გერმანიუმი; 14. ფაზენდა; 15. რალი; 16. ნო; 17. ტენგე; 18. ადმირალი; 19. აგუტი; 20. რა; 21. აფრა; 22. ასლი; 23. რააბე; 24. არარა; 25. სათნო; 26. მირანდა; 27. სეთური; 28. ინა; 29. თესლი; 30. თეთრი; 31. მისის; 32. მინა; 33. ტრიო.

სურათებზე: ჰოლი ჰანტერი; ჯორდან ჰენდერსონი.

აფხაზეთში მოქვის ტაძარი ინგრევა

აფხაზეთში მდებარე უძველესი ქართული ეკლესია – მოქვის ტაძარი ინგრევა. საქართველოს ეს კუთხე განსაკუთრებით მდიდარია ეკლესიებით. 144 ტაძრიდან უმრავლესობა უმძიმეს მდგომარეობაშია და დღეისთვის მათგან მოქმედი მხოლოდ 23-ია.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ მოქვში ეკლესია მეფე ლეონ მესამის მიერ X საუკუნეშია აშენებული. „ეხო კავკაზას“ ჟურნალისტმა ელენა ზავოდსკაიამ ეკლესიას ვრცელი სტატია მიუძღვნა და აღნიშნა, რომ მოქვის ტაძრის გუმბათი დაზიანებულია, ნესტი კედლებს აზიანებს, ხოლო ეკლესიის შიგნით ობია გაჩენილი.

აფხაზეთის დე ფაქტო კულტურის მინისტრი აცხადებს, რომ მათ ტაძრების რესტავრაციისთვის საჭირო ფინანსები არ აქვთ. ის არ მალავს, რომ მოქვის ტაძარი, ისევე, როგორც დანარჩენი ეკლესიები, ე.წ. აფხაზური ეკლესიის ბალანსზეა. მათ ტაძრების სარესტავრაციო ფინანსები არ გააჩნიათ. არადა, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ 40-მდე ტაძარს რემონტი სჭირდება.

სამწუხაროდ, აფხაზეთის ტაძრების უმრავლესობაში სულ უფრო იშვიათად ტარდება ღვთისმსახურება. ქართულ მხარეს შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად არაფერი შეუძლია.

„სხვა შუაღამე“ — „რუსთავი 2“ ახალ გადაცემას იწყებს

„სხვა შუაღამე“ – ასე ეწოდება ახალ გადაცემას, რომელიც 25 მარტიდან ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში კვირაში 6-ჯერ ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით გავა.

ღამის 12 საათიდან 2 საათამდე გადაცემას 12 ერთმანეთისგან განსხვავებული წამყვანი წაიყვანს. მათ შორის იქნებიან საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი და ასევე ახალი სახეებიც.

„სხვა შუაღამე“ სპეციალურად „რუსთავი 2“-სთვის შექმნილი სატელევიზიო ფორმატია და მას ქართულ სატელევიზიო სივრცეში ანალოგი არ ჰყავს. გადაცემის წამყვანები ყოველდღიურად გამოეხმაურებიან საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე აქტუალურ თემებს. საზოგადოებრივი და პოლიტიკური საკითხების განსხვავებული და სუბიექტური ანალიზის გარდა, მაყურებელი საინტერესო ამბებს სხვა სფეროების შესახებაც ნახავს. მაყურებელი „სხვა შუაღამის“ დახმარებით გაიცნობს ადამიანებს, რომლებიც რეალურ დროში ქმნიან საინტერესო ნამუშევრებს ან ისტორიებს.

გადაცემის ეთერში დიდი დრო დაეთმობათ თანამედროვე ქართველ მუსიკოსებს. ღამის ეთერი საინტერესო და გასართობი კომპონენტებით იქნება დატვირთული.

გადაცემაში მაყურებლის ჩართულობა მაქსიმალურად იქნება დაცული.

ორშაბათს და სამშაბათს გადაცემის წამყვანები ნინო დარასელი, სანდრო კაკულია, საღომე დადუნაშვილი და ნოდარიკო ხუციშვილი იქნებიან.

ოთხშაბათს და ხუთშაბათს მაყურებლის ღამის განწყობაზე ლელა წურწუმია, ნანკა კალატოზიშვილი, აჩიკო სოლღაშვილი და ნიკა ლომიძე იზრუნებენ.

კვირის ბოლოს, პარასკევს და შაბათს კი მაკო კვიტაიშვილი, ანა სუბელიანი, ლაშა ნაკაიძე და შოთა დიმიტრიშვილი ძალიან საინტერესო თემებს შემოგვთავაზებენ.

ნიკა გვარამია, „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი:

– მე, როგორც ბუ, ბოლო-ბოლო მივიღებ გადაცემას რ2ზე ჩემთვის და ჩემნაირებისთვის! მორჩა ტოროლების ბაირამობა!

სამგლოვიარო განცხადებები

ბექა!

სიკეთითა და ვაჟკაცობით გამორჩეულს, განგებამ მარადიული ახალგაზრდობა გარგუნა წილად. მე, შენს დედას კი, მოუშუშებელი ტკივილი. დრო ვერ კურნავს ერთადერთი შვილის სიკვდილით დაფლეთილ დედის გულს. უიმედოა ჩემი ყოფა. შენთან ერთად დამთავრდა ჩემი სიცოცხლეც...

უფალს ვევედრები, მომცეს ძალა მოვუარო შენს საფლავს, ავანთო სანთელი შენი სულის მოსახსენებლად, ჩემო ნებიერა ბიჭო!

მშვიდად განისვენე, ჩემო დარდო და ტკივილო! ღმერთმა ნათელში ამყოფოს ზეცად ამაღლებული, წუთისოფელს განშორებული შენი სული!

დედა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ბრწყინვალე პედაგოგი და მეცნიერი, გულითადი მეგობარი, კეთილშობილებით გამორჩეული პიროვნება, პროფესორი

დავით ჯინჭარაძე

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და ახლობლებს.

შვილი მარინე ძნელაძე, სიძე გიორგი ბუჯიაშვილი, შვილიშვილი ნინო ბუჯიაშვილი, სიძე პავლე ხარძეიშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გედეონ ძნელაძე

პანაშვიდი: 19, 20 მარტს.
დაკრძალვა: 21 მარტს, 14 საათზე.
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი №128.

უმძიმესი ავადმყოფობის გამო ნაადრევად გარდაიცვალა

რეზო გურგენის ძე ლომთაძე

მის მეუღლეს მაიას, შვილებს გიორგისა და მარიამს, ძმას თემურს, დებს დარეჯანსა და მაკას თანავუგრძნობთ და ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ გამოუთქმელი დანაკლისის გამო.

მუდამ ნათელში იყოს რეზოს კეთილი და საქართველოს მონატრებული სული მის დედ-მამასთან და ძმებთან – ერმალოსა და ნუგზართან ერთად, რომლებიც აფხაზეთში ომში გმირულად დაიღუპნენ. რეზო იყოს უკანასკნელი, ვისაც სამშობლოს გარეთ შეუმოკლდება სიცოცხლე!..

ოჯახის წევრებისა და მთელი სანათესაოს სახელით,
რეზოს გამზრდელი ბავშვობაში
მედეა ხუციძე-მანჯგალაძე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებს უმაღლესი საბჭოს თანამშრომლებს ნანა კვარაცხელიასა და ხვიჩა ქარდავას შვილის

ანასტასია ქარდავას

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯანო იზორია და ვახო ჩაჩანიძე ტორონტოს კინოფესტივალზე საუკეთესოებად დაასახელეს

ქართველი მსახიობები ჯანო იზორია და ვახო ჩაჩანიძე კანადაში გამართულ ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესო მსახიობებად დაასახელეს.

რეჟისორ გიორგი თავართქილაძის მოკლემეტრაჟიანი მძაფრსიუჟეტიანი ფილმი „ცუდი ხალხი“ კანადის საერთაშორისო კინოფესტივალის 4 ნომინაციაზე იყო წარდგენილი: საუკეთესო რეჟისურა – გიორგი თავართქილაძე, საუკეთესო სცენარი – გიორგი თავართქილაძე და ვლადიმერ კაჭარავა, საუკეთესო მამაკაცის როლი – ვახო ჩაჩანიძე და საუკეთესო დამხმარე როლი – ჯანო იზორია.

კინოფესტივალის ჟიურის გადაწყვეტილებით, მამაკაცის საუკეთესო როლისთვის ვახო ჩაჩანიძე დაჯილდოვდა, საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლისთვის კი – ჯანო იზორია.

ფილმი 90-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე სამოქალაქო ომსა და იმ პერიოდის რამდენიმე რეალურ ამბავზე მოგვითხრობს.

„ცუდი ხალხი“ ლოს ანჯელესის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალსა და ჰონგ კონგის საერთაშორისო კინოფესტივალზეც მონაწილეობდა.

ხათუნა იოსელიანი ამერიკაში დააჯილდოვეს

75 წლის ქართველი მსახიობი ხათუნა იოსელიანი ამერიკაში დააჯილდოვეს.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი ნიუ იორკში გაიმართა.

უცხოელ კონსულთა საზოგადოებამ ქართველი მსახიობი ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საღამოზე მისი წარმატებული მოღვაწეობისთვის დაააჯილდოვა. შეკრებილ საზოგადოებას ღონისძიების ორგანიზატორებმა ხათუნა იოსელიანის ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან უმნიშვნელოვანესი ეტაპები გააცნეს და მის წარმატებულ სამსახიობო კარიერაზეც ისაუბრეს.

ხათუნა იოსელიანი წლებია ამერიკაში ცხოვრობს. საქართველოდან ის გაუსაძლისი პირობების გამო წავიდა. ამერიკაშიც, როგორც საქართველოში, მან საქმიანობა თავის საყვარელ პროფესიაში განაგრძო, სპექტაკლებიც დადგა, საკვირაო სკოლაშიც იმუშავა და წარმატებებსაც მიაღწია.

გიორგი ბახუტაშვილი „ჩემი ცოლის დაქალებში“ დაბრუნდა

მსახიობი გიორგი ბახუტაშვილი „ჩემი ცოლის დაქალებში“ დაბრუნდა.

სერიალის ახალი რიგით მე-15 სეზონის დაწყებამდე შემოქმედებითმა ჯგუფმა დააანონსა, რომ სერიალში ახალ სახეებთან ერთად, მაყურებლისთვის უკვე კარგად ცნობილი სახეებიც გამოჩნდებოდნენ.

გიორგი ბახუტაშვილის გმირი ცოტნე ცოტაშვილი სერიალის გულშემატკივრებში დიდი მოწონებით სარგებლობდა. მაყურებელი ხშირად აღნიშნავდა, რომ ცოტნესთან ერთად სერიალს სულ სხვა ხიბლი ჰქონდა, ამიტომაც მის სერიალში დაბრუნებას ათასობით მაყურებელი დიდი სიხარულით შეხვდა.

ოთო ნემსაძე: „სადაც არ უნდა წავიდე, თქვენთვის ვიმღერებ!“

მომღერალი ოთო ნემსაძე საქართველოს ევროვიზია 2019-ზე წარადგენს.

ამისთვის ოთო განსაკუთრებულად ემზადება.

რომა გიორგაძის სიმღერით „სულ წინ იარე“ ოთო თელ ავივში წარდგება. მანამდე კი წინამოსამზადებელ ეტაპებს გადის.

მომღერალმა უკვე მიიღო მონაწილეობა სპეციალურ ფოტოსესიაში, დაიგეგმა რამდენიმე გასვლითი კონცერტი სხვადასხვა ქვეყნებში, მიმდინარეობს მუშაობა საკონკურსო სიმღერის დახვეწაზე.

ოთო ნემსაძე:

– მე ყოველთვის ვგრძნობ იმ სიყვარულს, რაც თქვენგან მოდის... არ იფიქროთ, რომ ეს შეუმჩნეველი რჩება, ზუსტად ამ სიყვარულს ვდებ ყველა ბგერაში, ყველა ჩემს ემოციაში და მინდა, რომ ეს სიყვარული არასოდეს არ გამომელიოს. მადლობა ყველაფრისთვის! სადაც არ უნდა წავიდე, თქვენთვის ვიმღერებ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ყალეიდოსკოპი

მოსწავლე ნიძლავზე ზვიგენებით სავსე აუზში ჩახტა

ბუნების ნაკრძალ Living CoastMDiscovery Center-ში სკოლის მოსწავლე ზვიგენებით სავსე აუზში ჩახტა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეორგოლი ერთ-ერთმა ამერიკულმა ტელეარხმა გამოაქვეყნა.

ინციდენტი კალიფორნიის შტატის ქალაქ ჩულა-ვისტაში მოხდა. კადრებში ჩანს, თუ როგორ ადის მოზარდი აუზის ქვიან ნაპირზე და სანამ შიგნით ჩახტება, ჯინსებს ისწორებს. შემდეგ ის აუზის ერთი ნაპირიდან მეორესკენ და უკან გაცურავს.

ნაკრძალის წარმომადგენელმა ელისაბედ არგაილმა დარწმუნებით განაცხადა, რომ მოზარდს საფრთხე არ შეჰქმნია, ვინაიდან ზვიგენების უმრავლესობა ადამიანებთან კონტაქტს გაურბის.

– მათ არ უყვართ მკვეთრი მოძრაობები და ყვირილი, – განმარტა არგაილმა.

სავარაუდოდ, მოზარდი ზვიგენებთან აუზში ნიძლავის გამო ჩახტა. ამ ინციდენტის შედეგად არც ის და არც ზვიგენები არ დაშავებულან.

ქარბუქის გამო ფერმერებს თოვლიდან ძროხების ამოთხრა მოუწიათ

ამერიკის სამხრეთ დაკოტას შტატის ქალაქ კაილის მკვიდრმა ქალბატონმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ვიდეო, რომელზეც ასახულია, თუ როგორ ათავისუფლებენ თოვლში ცოცხლად ჩამარხულ საკუთარ ძროხებს ფერმერები.

კადრებში ორი ძროხის თავი მოჩანს, რომლებით ნამქერში გაკეთებული ხვრელიდან იყურებიან. შინაური ცხოველები თოვლმა მთლიანად დაფარა და ისინი ერთგვარი თოვლის გუმბათის ქვეშ აღმოჩნდნენ.

– ზუსტად არ ვიცით, რამდენი ძროხა დავკარგეთ, მოგვიწევს დათბობას დაველოდოთ, თუმცა ამავე დროს ვამაყობთ იმით, რომ რამდენიმეს გადარჩენა შევძელით, – დაწერა ვიდეოს კომენტარში ქალმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

19 მარტისთვის

- აშშ დოლარი — 2.6861
- ევრო — 3.0407
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5636
- 100 რუსული რუბლი — 4.1133

ამინდის პროგნოზი 19 მარტისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“



12 მარტიდან

იაკობ გოგებაშვილი

სალმრთო ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

21 მარტიდან

იაკობ გოგებაშვილი

შემეცნებითი მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

15 მარტიდან

ანდრე ჟიდი

ცოლთა სკოლა

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

ჩელსი კლინტონს ახალზელანდიელი მკვლელის პროვოცირება ბრალდება

აშშ-ის 42-ე პრეზიდენტ ბილ კლინტონის ქალიშვილმა ჩელსიმ 50 ადამიანის ახალზელანდიელი მკვლელის პროვოცირება მოახდინა. ამ ინფორმაციას გამოცემა ფოქს ნიუსი ავრცელებს.

ჩელსი კლინტონმა ტვიტერში დაწერა, რომ ახალი ზელანდიის მეჩეთებში მომხდარი „თეთრი ნაციონალისტების“ ნამოქმედარია.

– ჩვენ გლობალური პასუხი გვჭირდება „თეთრი ნაციონალიზმის“ ძალადობის გლობალური საფრთხის წინააღმდეგ, – დაწერა ჩელსი კლინტონმა.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ქალიშვილს სიძულვილის გაჩაღება ბრალად ნიუ იორკის უნივერსიტეტის სტუდენტებმა დასდეს. სოციალურ ქსელში გამოჩნდა ვიდეო, რომელშიც ჩელსი კლინტონს ერთ-ერთი სტუდენტი სიტყვიერად ესხმის თავს და მას ახალზელანდიურ ხოცვა-ჟლეტასთან აკავშირებს. კლინტონს სოციალური ქსელის მრავალი მომხმარებელი გამოექომაგა. აღსანიშნავია, რომ გამოქვეყნებიდან მალევე აღნიშნული ვიდეო წაიშალა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

•••

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:

– რა კარგი კოსტიუმი გაქვს.

– ვიცი, ჯერ კიდევ პაპაჩემს ეცვა.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რას ნიშნავს „სიმშვიდის ხუთი წუთი“?

– როდესაც ცოლი ტუალეტშია.

•••

ფსიქიატრიულში ხელში დანამომარჯვებული ავადმყოფი დამლაგებელს მისდევს. დამლაგებელი ბოლოს კართან მიირბენს და დაკეტილი დახვდება. ამ დროს გიჟი მიირბენს, დანას გაუწვდის და ეუბნება:

– ახლა შენ გამომეკიდე.

•••

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ამ ბოლო დროს ყველაფერზე ნერვები მეშლება.

– მაინც რაზე?

– რაზე კი არა, თუ შემოგცხე, ტვინს კედელზე მიგასხმევინებ...

•••

სახლში დაბრუნებული ქმარი ცოლს ეუბნება:

– სანამ გავიხდი, საწოლში დამხვდი.

გაკვირვებული ცოლი სასწრაფოდ საწოლში წვება, ქმარი გვერდზე მიუწვება, საბანს თავზე გადაიფარებს და ცოლს ეუბნება:

– ნახე, რა მაგარი საათი ვიყიდე, სიბნელეში ანათებს...

•••

სოფლელი თბილისელ ახლობელს თავისთან ეპატიჟება:

– ჩამო ერთი, ძამა, დეისვენე აქანე.

– კი ჩამოვალ, მაგრამ ვაი-ფაი ინტერნეტი თუ არ გაქვთ, მანდ ძალიან გამიჭირდება.

– შენ, ძამა, ფაი ჩამეიტანე და ვაის მეტი რაა ჩვენთან.

•••

ქართველი უდაბნოში დაიკარგება, წყურვილი კლავს, ამ დროს წყლის ბოთლით ხელში ჯინი გამოეცხადება და ეუბნება:

– წყალს დალევ?

– ცივია თუ?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მაურისიო სარი: „ჩელსის მენტალური პრობლემები აქვს“

ჩელსის მთავარმა მწვრთნელმა მაურისიო სარიმ ევერტონთან მარცხის შემდეგ განაცხადა, რომ მის გუნდს მენტალური პრობლემები აქვს.

სარის აზრით, ფეხბურთელები ნაადრევად ანებებენ თავს ბრძოლას და მატჩებში გარდატეხის შეტანა არ შეუძლიათ:

– ევერტონთან პირველი ტაიმი ძალიან კარგად ჩავატარეთ, მაგრამ შემდეგ რაღაც მოხდა და გუნდი მორალურად გატყდა. ჩვენ ძლიერი ფეხბურთელები გვყავს, უბრალოდ, მათ მენტალური პრობლემები აქვთ და ისინი ბრძოლას თავს ანებებენ. პირველ რიგში ეს უნდა შეიცვალოს.

ლუის სუარესი ორ კვირას გამოტოვებს

ბარსელონას ურუგვაელმა ფორვარდმა ლუის სუარესმა ბეტისთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო და ის, სავარაუდოდ, ორი კვირა ვერ შეძლებს თამაშს.

ეს პერიოდი სანაკრებო თამაშებს დაემთხვა და სუარესი ნაკრებში გამოძახებული იყო, თუმცა ტრავმამ ყველაფერი შეცვალა და ის ესპანეთში დარჩება.

სუარესი ბოლო თამაშებში შესანიშნავ ფეხბურთს აჩვენებს და მისი წყალობით ბარსელონამ რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა მოიგო. განსაკუთრებით სუარესმა თავი რეალის წინააღმდეგ გამოიჩინა, როდესაც 3 გოლი გაიტანა.

ვირჯილ ვან დეიკი: „ჩემი შეცდომა კინაღამ ძვირად დაგვიჯდა“

ლივერპულმა სტუმრად ფულჰემი 2:1 დაამარცხა, თუმცა ეს გამარჯვება ლივერპულისთვის იოლი არ ყოფილა. მატჩის 75-ე წუთზე ვირჯილ ვან დეიკმა და ალისონმა შეცდომა დაუშვეს, რის შემდეგაც ლივერპულის კარში გოლი გავიდა.

ვან დეიკმა მატჩის შემდეგ აღიარა, რომ მას უფრო ყურადღებით თამაში მართებდა.

– იმ ეპიზოდში მეც და ალისონმაც ცუდად ვითამაშეთ და ეს შეცდომა კინაღამ ძვირად დაგვიჯდა. საბედნიეროდ, მეორე გოლის გატანა მოვახერხეთ და მნიშვნელოვანი ქულები მოვიპოვეთ. მსგავსი შეცდომა მომავალში აღარ უნდა განმეორდეს, – განაცხადა ვან დეიკმა.

უეფამ შესაძლოა კრიშტიანო რონალდუ დასაჯოს

უეფამ იუვენტუსის სუპერვარსკვლავი კრიშტიანო რონალდუ შესაძლოა უხამსი ჟესტის გამო დასაჯოს. ატლეტიკოს დამარცხების შემდეგ რონალდუმ დიეგო სიმეონეს ჟესტი გაიმეორა და ამის გამო მას, სავარაუდოდ, ფულად ჯარიმას დააკისრებენ.

სიმეონემ 20 ათასი ევრო გადაიხადა, ხოლო რონალდუს სასჯელი ჯერჯერობით უცნობია. არ არის გამორიცხული, რომ კრიშტიანომ დისკვალიფიკაცია მიიღოს და ამ შემთხვევაში ის აიაქსის წინააღმდეგ პირველ შეხვედრას გამოტოვებს.

იურგენ კლოპი: „ყველა შეხვედრა ფინალივით იქნება“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ მის გუნდს პრემიერლიგის მოგება შეუძლია, მაგრამ ამისთვის ყველა შეხვედრაში უმაღლესი კონცენტრაციაა საჭირო და მათ შეცდომის დაშვების უფლება არა აქვთ.

ლივერპულს პრემიერლიგაში მხოლოდ 7 შეხვედრა დარჩა ჩასატარებელი.

– ჩვენი მიზანია, რომ ყველა ტურნირში გამარჯვება მოვიპოვოთ, თუმცა პრემიერლიგის მოგება ყველას ძალიან გვინდა. დარჩენილი მატჩები ყველა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება და ყველა თამაში უნდა მოვიგოთ, – განაცხადა კლოპმა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. მუსიკალური ნაწარმოების ბოლო დასკვნითი ნაწილი; 2. გულის დაავადებით გამოწვეული სულის ხუთვა; 3. ნიგერიის დედაქალაქი; 4. აეროპორტი სინგაპურში; 5. ხელოვნურად გაშენებული ტყის მასივი; 6. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი, ნავსადგური საბერძნეთში; 8. გერმანიის იმპერიის ტახტის მემკვიდრის ტიტული; 10. მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 11. მიწაში ბინადარი დიდი შხამიანი ობობა; 14. კანის ანთებითი დაავადება; 15. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 16. ბაღჩეული ხილი.

თარაზულად: 1. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 4. ლათინური ამერიკიდან არალეგალურად შემოსული მუშახელის სახელწოდება აშშ-ში; 7. თოფის წამალი; 9. ირანის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 12. დაავადების გამომწვევი მიკრობი; 13. გურულების, აჭარლების მოკლე ჩოხა; 14. მოსანათლი ჭურჭელი ეკლესიაში; 17. რკინიგზის ლიანდაგის სიგრძის საზომი ერთეული; 18. მაჯისცემის გრაფიკული ჩანაწერი; 19. შენობის ინტერიერის მხატვრული კონსტრუირება; 20. ცნობილი ბერძენი საოპერო მომღერალი ქალი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა